

ეპროკრიუდი

New ახალი

საქეპროტიკუდი

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი №2 (34), თებერვალი, 2014

ახალი მწვერვალი აგროქიმიკაში!!!

ფოსფომოჩევინა

FOSFOMOCHEVINA

ყველაზე მაღალკონცენტრირებული ანოტოვანი მინერალური სასუქი
შეიცავს: ანოტს – 44%, ფოსფორს – 8%



 **ZADENI**
AGROCHEMICAL COMPANY

ბელ/ფაქსი: +995 32 2 922 472
შობ: +995 599 550 497
+995 599 141 777

FOSFOMOCHEVINA გამოიყენება როგორც გამოყვებაში, ისე თანვასთან ერთად. იგი საუბათესოა გამოსაყენებლად ყველა ბიზის ნიადაგებზე, ყველა ხუტბურაში: საზომოდგომო მარცვლოვანებში, სიმინდში, ხახიდში, ციტრუსებში. შეუვლადია ხარბოფილში, ბოსტნულ და ბაღეულ ხუტბურებში.

DeLaval Bosio

**დელავალის მობილური
საწველი აპარატები
მსხვილფეხა და წვრილფეხა
მერძეული
მეცხოველეობისათვის**



WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge



**ახალი აგარარული
საქართველო**

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

თებერვალი, 2014 წელი.

№2 (34)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუგზარ ებანიძე, მიხეილ სოხაძე,
თამარ სანიციძე, ნოდარ ბრეგვაძე,
გიორგი ბარისაშვილი (მეცნიერება-
მედიცინის რედაქციის რედაქტორი),
თამაზ გუგუშვილი (ხეივ. ვერს. რედაქტორი).

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარობლიძე (თავმჯდომარე),
ნოდარ ჩხარტიშვილი, გურამ ალექსიძე,
ნუგზარ ებანიძე, პაატა კოლუაშვილი,
ელგუჯა შაფაქიძე, პეტრე ნასყიდაშვილი,
ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ზაურ
ჯუღლუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო
კახნიანიშვილი, ადოლ ტყემელაშვილი, ნატო
კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშვი, ომარ
თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, დავით ბე-
და, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე,
კობა კობალაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:

„აგარარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Agraruli Sectoris

Companiebis asociacia (ASCA);
(Association of Agrarian Sector Companies).

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონია“;
Regionica – Georgian Research Center for
Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/თელ: +995 (032) 2 90-50-00
599 16 -18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. № 51/53

E-mail: agroasca@gmail.com

www.regionica.org/journal.

editor of English version Tamta Gugushvili

დააკაბდონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.
The journal acts in accordance with
the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“



www.worldtechnic.ge
E-mail: info@worldtechnic.ge

ნომარები წაიკითხათ:



8

**ქოქეაქასია - სოფლის ეკონომიკური
ბაჯანსაღების მეთოდები**

კოოპერატივების მუშაობის სტილი
მოქნილია და დღევანდელი მოთხოვ-
ნილებების ადექვატური.



9

**როგორია დამოკიდებულება
ქვეყნის სასურსათო
უსაფრთხოებისადმი საქართველოსა
და ამერიკის შეერთებულ შტატებში**

ხალხზე მზრუნველი ყველა მთავ-
რობა განსაკუთრებულ ყურადღებას
უთმობს საკუთარ აგროსექტორს.



28

**ბოსტნეული კულტურების
მოვლა-მოყვანის აპროფისაჟი**

საქართველოს ტერიტორია ბუნებ-
რივი პირობების და ბოსტნეული კულ-
ტურების მოვლა-მოყვანის მიხედვით
დაყოფილია ზონებად და ქვეზონებად.



31

**ეროვნული საგანძური -
ძარბაზის ვაზის ჯიშები**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ
უკანასკნელ ხანს ჩვენს ვენახებს სე-
ნივით მოედო ე.წ. „უნამლი“ ვაზი (სა-
ხეობათაშორისი ჰიბრიდები)

4 **ვენახის, მარნის დაცვა და
მოვლა ჩვენი
ვალდებულებაა**

5 **ქოქეაქასია აგარარული
პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი
მიმართულებაა**

5 **თბილისში ახალი
ლაოკოგორკია გაიხსნა**

6 **განვითარებული ქვეყნების
აგარარული გამოცდილება**

14 **გთავაზობთ სიმინდის
ჰიბრიდის „ლომთაგორას“
თესვა-მოყვანის ტექნოლოგიას
დასავლეთ და აღმოსავლეთ
საქართველოსთვის**

16 **სხვადასხვა ქვეყნებში
სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის უსწრაფეს
მიერ საქმთრებაში შექმნილი
კანონმდებლობით
ბათვალისწინებული შეზღუდვები**

19 **ბარდახანის რაიონის სოფელ
კალინინოში გრანულირებულ
საქვების სანარმუ გაიხსნა**

20 **მაყვლის წარმოების
თანამედროვე ტექნოლოგიები**

23 **საქართველოში ცოცხალი
განყოფილებების
პროდუქციის გამრავლება
აიკრძალება**

24 **ზომიერითი ბოსტნეული
კულტურის მოსავლის მიღების
ტექნოლოგია 24**

30 **საქართველოს ბაზარზე
არსებული სასუქები და
მცენარეთა დაცვის
საშუალებები - მათი
ეფექტურობა და ეკოლოგიური
უსაფრთხოება**

33 **საქართველოს
აგრობიოსაქტორის
განვითარების პროგრამისთვის**

ვენახის, მარნის დასვა და მოვლა ჩვენი ვალდებულებაა

თბილისში, 11 თებერვალს საპარტოველოს ეროვნულ მუზეუმში ღვინის ეროვნული სააგენტოს ახალი პროექტის „ქართული ვაზის და ღვინის კულტურის კვლევის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც საპარტოველოს პრეზიდენტი-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა.



ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი, ქართველი და უცხოელი მსოფლიოში ცნობილი მკვლევარები და მეცნიერები, ასევე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

როგორც ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა: „ღვინის კულტურა ქართველი კაცისთვის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართველობის იდენტობის ტოლფასია... ჩვენ გვაქვს საშუალება ახლებურად წარმოვაჩინოთ და საკადრისი ადგილი დავუმკვიდროთ ქართულ ღვინოს მსოფლიოს საუკეთესო ღვინოების გვერდით, და მჯერა, იგი მსოფლიოში ყველაზე აღიარებულ ღვინოებსაც კი გაუწევს კონკურენციას და დაიკავებს ერთ-ერთ საპატიო ადგილს მსოფლიო ღვინის ბაზარზე. ჩვენი ღვინო ჩვენი ქვეყნის საიმიჯო პროდუქტი გახდება და თითოეული ქართველი იამაყებს ამით... ვენახს და მარანს ქართველი გლეხი განსაკუთრებული შეგნებით იცავს და უვლის. მე ვამბობ სიტყვას „იცავს“, რადგან ბოლო დროს რამდენიმე არასასამოვნო ფაქტი დაფიქსირდა – ჩვენ გავხდით მომსწრე იმისა, რომ

ქართველმა გლეხმა კახეთში თავისი ხელით რამდენიმე ვაზი გაჩეხა. ეს იყო ტრადიცია ჩვენთვის, რაც არასდროს განმეორდება. ვაზის და ღვინის ქვეყანაში ეს აღარ უნდა მოხდეს და ჩვენ ამას არ დაუშვებთ, ჩვენი ვალდებულებაა, რომ ვიზრუნოთ ამ დარგის განვითარებაზე... ჩვენ ასე შემოვიწახეთ, ქართულ ქვეყრში დაყენებული ღვინო მსოფლიოს ანცვიფრებს და ეს სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. შემთხვევით არ არის, რომ ქვეყრის ღვინის დაყენების მეთოდს იუნესკომ არამატერიული კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭა.“

პრემიერ-მინისტრმა პრეზენტაციაზე ორ ახალ ინიციატივაზეც ილაპარაკა, რომ თბილისში შეიქმნება ღვინის მუზეუმი, სადაც თავს მოიყრის ქართული ღვინის მთელი ისტორია და დაწესდება ქართული ღვინის საერთაშორისო დღე, რომელიც ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს აღინიშნება.

მეღვინეობა ის დარგია, სადაც სიძველესა

და ტრადიციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ მიზნით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა „ქართული ვაზის და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი“, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის განვითარებას, ვაზის წარმოშობის და ღვინის ისტორიის კვლევების ნახალისებას და მიღებული შედეგების ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით გამოყენებას.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ვაზის და ღვინის ისტორიის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა სახის კვლევების ხელშეწყობაა დაგეგმილი. გაანალიზდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ვაზის ნაშთები, ღვინის მუავის აღმოჩენის მიზნით ჩატარდება არქეოლოგიური მასალის ბიოქიმიური ტესტირება (ე.წ. „ბიომოლეკულური არქეოლოგია“), როგორც დადასტურება საქართველოში მეღვინეობის პრაქტიკის არსებობის შესახებ. ასევე განხორციელდება ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური და გენეტიკური რესურსების (კულტურული და ველური ვაზი) შესწავლა-დახასიათება. ჩატარდება სხვა მნიშვნელოვანი მიმართულების კვლევები.

აღნიშნული კვლევების პროცესში სააგენტო ითანამშრომლებს როგორც საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ქართველ მკვლევარებთან, ასევე საზღვარგარეთის ცნობილ ინსტიტუტებთან და მეცნიერებთან.

ა.ს.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მაცნეირებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მაცნეირებათა აკადემიაში მრგვალი მაგიდა ჩატარდა – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი აბრარული სექტორის განვითარებაში“.

კოოპერასია აბრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა



მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, საქართველოს რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებმა, ფერმერებმა და სხვა.

სხდომა აკადემიის პრეზიდენტმა, საქართველოს სმმ აკადემიის აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე, საქართველოს სმმ აკადემიის აკადემიკოსები: თამაზ კუნჭულია, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ნოდარ ჭითანავა, ომარ ქეულაშვილი, აკადემიის წევრ/კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი.

აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ ფერმერთა/გლეხთა ნებაყოფლობითი, სარგებელზე ორიენტირებული კოოპერაციის განვითარება აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად

აირჩია, რადგან კოოპერატივების ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. კოოპერატივებში განვითარებული ფერმერებისათვის/გლეხებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, ასევე პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ.

მთავრობის მიზანი, როგორც მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, ფერმერების/გლეხების გაძლიერება, ადგილობრივი წარმოების განვითარებაა.

სხდომაზე ისაუბრეს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე. ასევე აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ შეიმუშავა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 12 ივლისს მიიღო.

როგორც აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ აღინიშნა; „ამ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორად ინ-

ფორმირება, სამეცნიერო წრეების აქტიური ჩართვა, მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება“.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია, სადაც მეტი აქტიურობით გამოირჩეოდნენ საქართველოს რეგიონების რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლები, აგრეთვე ფერმერები, ეკონომისტები, დარგის მეცნიერები.

აღინიშნა აგრეთვე, რომ აუცილებელია მსგავსი მრგვალი მაგიდა მოენწყოს საქართველოს რეგიონებშიც და ამ ღონისძიებების ინიციატორები უნდა იყვნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ელეზაბეტ ვაჭაბიძე,

პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნ. მეცნ. დოქტორი

სიახლე

თბილისში ახალი ლაბორატორია გაიხსნა

QUALITY LAB (ხარისხის ლაბორატორია) პირველი ლაბორატორიაა საქართველოში, რომელსაც ცოცხალი გენოფიციტირებული ორგანიზმებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები პროდუქტის კვლევა და აღმოჩენა შეუძლია.

დღემდე საქართველოში ისეთი აკრედიტებული ლაბორატორია არ არსებობდა, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ამ მიმართულებით კვლევები განხორციელებინა. შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელსაც კანონმდებლობით ევალება სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ამ მიმართულებით მასზე მინიჭებულ უფლებამოსილებას ვერ ასრულებდა.

გენმოდულირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები სასურსათო პროდუქტების წარმოებაში გამოიყენება, როგორც სასურსათო ნედლეულის, ისე საკვებ დანამატების და სხვა ინგრედიენტების სახით (მაგ. სოიო, კარტოფილი, სიმინდი და სხვ.). მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით,

პროდუქციის ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს მისი ზუსტი შემადგენლობა, რათა მათ თავად აირჩიონ როგორი პროდუქცია შეიძინონ. სურსათის ეროვნულ სააგენტოს პროდუქტისა და ეტიკეტის შესაბამისობაზე კონტროლის განხორციელების მიმართულებით, აღნიშნული ლაბორატორია დაეხმარება.

Quality Lab რომელიც უახლესი აპარატურით არის აღჭურვილი, აერთიანებს 3 დეპარტამენტს: ქიმიური კვლევების, მიკრობიოლოგიის და „გმო“ (GMO) ლაბორატორიებს.

„ხარისხის ლაბორატორია“ მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ასევე კიბოს გამომწვევი ნივთიერებათა ჯგუფის (კარცეროგენი) შემცველობის კვლევაზე საკვებ პროდუქტებში. აღნიშნული კვლევა, ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და „გმო“ კვლევებთან კომპლექტში შეიძლება გამოიყენებოდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების სტანდარტის შესაქმნელად.

ა.ს.



განვითარებული

ქვეყნების აბრარული გამოცდილება

მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის წინსვლა და განვითარება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმის კოოპერაციული მეურნეობების ჩამოყალიბებით და სახელმწიფოს მიერ მათი ხელშეწყობით. კოოპერირების გარეშე შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების და რეალიზაციის ერთიანი სისტემის ფორმირება და ფუნქციონირება.

ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტის და მთავრობის მიერ გატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც ემსახურება სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას. მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა. ამ მიზნით მიღებული იქნა საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ”, რომლის ძირითადი მიზანია საკომლო (საოჯახო) მეურნეობების განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და რენტაბელობის ამაღლება. გარდა ზემოთაღნიშნული ძირითადი მიზნებისა, კანონი ითვალისწინებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სოფლად სიღარიბის აღმოფხვრას და მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას, რაც საბოლოოდ ემსახურება ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ღონისძიებების ხელშეწყობას, როგორებიცაა: შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობა, სალიზინგო მომსახურებისა თუ საგადასახადო შეღავათების დადგენა და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, აგროკოოპერატივების ხიბლი ფინანსურ რესურსებზე წვდომაა. პარალელურად დაიწყო ფერმერთა კოოპერატიული მეურნეობების პოპულარიზაციის კამპანიის ჩატარება, რომელშიც ჩართულია როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. თავად ის ფაქტი, რომ აღნიშნული იურიდიულ-სამართლებრივი ტიპის ფერმერული მეურნეობები (კოოპერატივები) დიდი ხანია წარმატებით ფუნქციონირებს საზღვარგარეთის მონიწივე აგრარულ ქვეყნებში, ქმნის მოლოდინებს, რომ საქართველოში აგროკოოპერატივების ჩამოყალიბება მოგვცემს უახლოეს პერსპექტივაში ფისკალურ შედეგებს. თუ საუბარია მონიწივე აგრარული ქვეყნების გა-

მოცდილებაზე, არ უნდა დავგავიწყდეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტიპის კოოპერატივები განვითარების რამდენიმე ათეულ წელს ითვლიან და მათ გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება და ტრადიცია.

საქართველოში რეგისტრირებულია (უახლოეს მომავალშიც ალბათ ბევრი დარეგისტრირდება) საკმაოდ ბევრი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი მათგანი გაჩერებულია ან ნაკლებად ეფექტურია და მხოლოდ კოოპერატივების ძალიან მცირე ნაწილი მუშაობს გამართულად. სამწუხაროდ, კოოპერატივების გარკვეული ნაწილი შექმნილია მხოლოდ ფორმალურად, მონეტარული სარგებლის მიღების მიზნით. ქვეყნის განვითარების ხელშეწყობისთვის განხორციელებული მრავალი პროექტი მიზნად ისახავდა კოოპერირების პროცესის დაჩქარებას საქართველოში. ამ პროექტების ფარგლებში ფერმერები იღებდნენ მონეტარულ სტიმულებს თანამშრომლობისათვის. შედეგად წვრილი გლეხური და ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებმა დაიწყეს კოოპერატივების შექმნა იმ მიზნით, რომ მიეღოთ მონეტარული სარგებელი და არა იმიტომ, რომ გაანალიზებული ჰქონდათ გაერთიანების ეკონომიკური პოტენციალი. კიდევ ერთი პრობლემა არის ნდობის არარსებობა და აზრთა სხვა-

დასხვაობა კოოპერატივში გაერთიანებულ ფერმერებს შორის, რომელიც, როგორც წესი, ძლიერდება არაეფექტური მართვისა თუ არასასურველი ეკონომიკური შედეგის დადგომის შემთხვევაში.

თუ გავითვალისწინებთ საზღვარგარეთის მონიწივე აგრარული ქვეყნების გამოცდილებას, კოოპერატივის წევრების საქმიანობის კოორდინაციას ახდენს სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო მმართველი სტრუქტურები. მაგალითად, შვედეთში – შვედეთის რძის ასოციაცია, რომელიც არეგულირებს ფასებს და ვაჭრობის საკითხებს. ანალოგიური ორგანიზაციებია შექმნილი ნორვეგიასა და ფინეთში, პოლონეთში – რძის კოოპერატივების ფედერაცია, ირლანდიაში – რძის წარმოების სამმართველო. ავსტრიაში და შვეიცარიაში სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მჭიდრო კავშირშია ყველა სახის კოოპერატივებთან. რა თქმა უნდა, ანალოგიური ფედერაციებისა თუ ასოციაციების შექმნა საქართველოში, რომელიც დაარეგულირებს კოოპერატივებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასსა და ვაჭრობის საკითხებს, იქნება სტიმული საქართველოში კოოპერაციის განვითარებისათვის.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე ზომის ფერმეები შეიძლება იყოს საკმაოდ ეფექტური. მცირე ზომის მეურნეობების უფრო მაღალ ეფექტურობას მსხვილ მეურნეობებთან შედარებით განსაზღვრავს მისი ინფრასტრუქტურის გამართვისათვის შედარებით მცირე კაპიტალდაზღვრებები, დასაქმებულ პირთა მაღალი მოტივაცია და სხვა. თუ მსხვილი მეურნეობები დაქირავებულ შრომაზეა ორიენტირებული, ოჯახურ მეურნეობებში შრომა უფრო იაფი ჯდება, ვინაიდან ოჯახის წევრები უფრო მეტად არიან მოტივირებულნი შრომისათვის, ვიდრე დაქირავებული მუშები, არ სჭირდებათ ზედამხედველები, არა აქვთ მართვისა და ზედამხედველობის ხარჯები. ამასთან, ოჯახის თითოეული წევრი ინანილებს რისკს, რაც არ ხდება დაქირავებული შრომის შემთხვევაში. ეს უპირატესობები არ არის გამოყენებული საქართველოში, რამდენადაც სოფლის მეურნეობის განვითარება არ არის უზრუნველყოფილი ყველა იმ პირობით, რომელიც გაზრდიდა

მის მწარმოებლურობას და ეფექტურს გახდიდა მცირე მწარმოებას. კერძოდ:

– ფერმერებისთვის უფრო ხელმისაწვდომი მომსახურების განევა, რომელიც გულისხმობს სასოფლო სამეურნეო მომსახურების ქსელის შექმნასა და ფერმერული ორგანიზაციების პოტენციალის გაზრდას;

– ფერმერთა ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავების და მცირე ფერმერული ორგანიზაციების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, მცირე ინფრასტრუქტურით და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

– სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების უკეთ ფუნქციონირება, მათ შორის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სასოფლო-სამეურნეო აკადემიური დაწესებულებების პოტენციალის გაზრდაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება. სასოფლო-სამეურნეო კვლევების მეთოდოლოგიის დახვეწა, ინოვაციური ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა, საპილოტე მეურნეობების შექმნა და სხვა.

საქართველოში დღეისათვის არსებული ზოგიერთი კოოპერატივის არაეფექტური საქმიანობა ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ახალი კოოპერატივების ჩამოყალიბებაზე. ქართველი გლეხის (ფერმერის) მენტალიტეტიდან გამომდინარე, თუ ის ღრმად არ იქნება დარწმუნებული კოოპერატივის ეფექტურობაში, არ მოისურვებს ისედაც მცირე ქონება

და ფინანსები გააერთიანოს არამდგრად, საექვო მომავლის მქონე კოოპერატივში. ამდენად, ყოველი არასწორი ნაბიჯი საფრთხეს უქმნის საქართველოში ამ მიმართულების განვითარებას. უფრო მეტიც, ეს შეიძლება სოფლის მეურნეობის დამანგრეველ მოვლენად იქცეს.

უპირველეს ყოვლისა, სასურველია საქართველოს ცალკეულ რაიონებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით, შეიქმნას ე.წ. საპილოტე-საჩვენებელი კოოპერატივები, რომელთა საქმიანობაც მისაბაძი იქნება სხვა წვრილი გლეხური მეურნეობებისათვის და დაარწმუნებს მათ კოოპერატიული მეურნეობების უპირატესობაში.

ამდენად, აგროკოოპერატივების შექმნა უნდა მოხდეს არა რეგულაციური, არამედ ევოლუციური გზით, ნებისმიერი ტიპის წვრილი გლეხური ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ წარმოების განვითარების საშუალება, ხელი მიუწვდებოდეთ შეღავათიან საკრედიტო რესურსებსა და გრანტებზე, ისარგებლონ სალიზინგო თუ საგადასახადო შეღავათებით და სხვა. გარკვეული ანალიზისა და მომავალში ეკონომიკური პოტენციალის და შესაბამისი სარგებლის გაზრდის შემთხვევაში, თავად გადანყვიტონ, თუ რა იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა იქნება მათთვის ხელსაყრელი.

ნუზარ ებანიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი;
ვიტალი დუნდუა,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი



კოოპერაცია - სოფლის ეკონომიკური გაჯანსაღების მექანიზმი



ქართული სოფელი წლების განმავლობაში უღიარი დამოკიდებულების, არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამო უაღრესად დაჰინდებულია. როგორც იმდენა ქართული სოფლის მოსახლე, დამოკიდებულება და შეფასება პრივისის გამოწვევი ძირითადი პრობლემაა. მიგაჩნია, რომ მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მისი განვითარების პროგრესული ხედვისა და ეფექტური პროექტების შემუშავება.

ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქონის მიმდინარე პერიოდში, როცა საქართველოს მთავრობას დაწყებული აქვს სოფლის დახმარების უპრეცედენტოდ მასშტაბური ღონისძიებების განხორციელება და მხოლოდ სწორი კონცეპტუალური მიდგომების შემთხვევაში განეული დახმარების შედეგები იქნება მაღალი უკუგების მომტანი.

სწორი პოზიციის ჩამოყალიბება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს, რომ ცალსახად და კატეგორიულად იქნეს განსაზღვრული – რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და შესაბამისად რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის – შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენდნენ ფერმერებისაგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებდა პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაუღალავ, კარტელურ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამომწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორეს მხრივ – აგრარული წარმოების პარალიზებისა. კერძოდ, განახევრდა ვენახისა და ხეხილის ფართო-

ბები, ჩაის პლანტაციებით გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყედ არის ქცეული, უმძიმეს დღეშია საკონსერვო მრეწველობა, კატასტროფულად შემცირდა ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და სხვ.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ საწარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმის განვითარება და გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა სოფლის მოსახლეობისათვის საბოლოო ჯამში უკუშედეგის მომტანი იქნება. კერძოდ, სოფლის მოსახლეობას (განსაკუთრებით მინის წვრილ მესაკუთრებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ) საბოლოოდ დაუკარგავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოტივაციას და, რაც მთავარია, სოფლად ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას. შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება სერიოზულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება: საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და მასშტაბური წარმოების, რომელიც განაპირობებს ერთის მხრივ – ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე. მათი საშუალებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მიეცემათ პირ-

ველადი პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და ისინი დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლებით.

2013 წლის 12 ივლისს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“. ამ კანონით აგრარულ სექტორში კოოპერაციის პროცესის გაღრმავების მიზნით განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს შექმნა, რომლის ფუნქციას წარმოადგენს სოფლად კოოპერაციის პროცესის ხელშეწყობა, პოპულარიზაცია, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, კოოპერატივებზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება და მათი მონიტორინგი.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის მიღება უნდა ჩაითვალოს, როგორც საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე იგი ვერ იქნებოდა სრულყოფილი და ყოვლისმომცველი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კანონის დახვეწა დინამიური პროცესია და მასში ცვლილებების შეტანა, ისე როგორც ყველგან, მიმდინარეობს კოოპერაციის პროცესის პარალელურად. მაგალითად, გერმანიაში კანონი კოოპერაციის შესახებ შეიქმნა 1889 წელს და დღესაც შედის მასში ცვლილებები; უკრაინაში კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ შეიქმნა 1997 წელს და მას შემდეგ 11-ჯერ მასში საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა.

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნილებების ადექვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკურ-ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. აქედან გამომდინარე, ცალსახად უნდა განისაზღვროს ყველაზე მთავარი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმართვა წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთ-



ობლიობას, რომელიც პირველად ჩვენს უახლეს ისტორიაში გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ; რომ არსებულ სიტუაციაში მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობით, არის შესაძლებელი ერთის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო დარგების გაჯანსაღებისა და მეორეს მხრივ, სოფლად სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების მეტად რთული პროცესის განხორციელება.

არასაკმარისია გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისა და სწორად დაგეგმილი, თამამი ღონისძიებების გატარებისაგან, ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობაზე და ზოგადად, დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

დავით მამუკაშვილი

სასურსათო უსაფრთხოება

როგორია დამოკიდებულება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისადმი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

1996 წელს რომში შედგა 173 სახელმწიფოს წარმომადგენელთა უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელმაც მიიღო დეკლარაცია მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების საკითხზე. რომის დეკლარაციის განმარტებით, სასურსათო უსაფრთხოება ის მდგომარეობაა, როდესაც ყველა ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური საშუალება საკმარისი რაოდენობით უსაფრთხო საკვების მიღებისა, რომელიც საჭიროა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისათვის.

რომის დეკლარაციაში „მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“ ლაპარაკია ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ყოველ

მაცხოვრებელს შეუქმნას საშუალება, მიიღოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და სრულფასოვანი საკვები.

სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს სახელმწიფოს აგრარული და ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზანს.

სასურსათო უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა უწყვეტი პროცესია, რის მისაღწევად ხშირად ხდება როგორც სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების, ასევე აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების ცვლილება. სასურსათო უსაფრთხოების განმარტება რომის შეხვედრის



მიხედვით შემდეგ ელემენტებს შეიცავს: ა) საკმარისი რაოდენობის, უსაფრთხო და ყუათიან საკვებთან მოსახლეობის ყველა ფენის ფიზიკურ წვდომას; ბ) ეკონომიკის შესაძლებლობას, ბუნებრივი, სეზონური და სხვა რყევების მიუხედავად, უზრუნველყოს სურსათით შეუფერხებელი მომარაგება. გ) ნაციონალური სასურსათო სისტემის ავტონომიურობა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. დ) ნაციონალური სასურსათო სისტემის გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმის უზრუნველყოფა. ნაციონალურ მოძრაობას თუ მის მიერ კონტროლირებად მედიას, არსად არასდროს უხსენებიათ რომის დეკლარაცია, რომელიც ყველა ქვეყნის მთავრობას თავისი მოსახლეობის საკუთარი წარმოების სურსათით უზრუნველყოფას ავალდებულებს. (სამაგიეროდ თვალებს გვიხვევენ ვენეციის დეკლარაციის პოსტულატებით, როცა თვითონ სჭირდებოდათ უკანონობის დასაკანონებლად, თუ თავის გადასარჩენად). ან რად უნდოდათ რომის დეკლარაცია, როცა საქართველოში გადარჩენილ-დარჩენილი სამნახევარი მილიონი ადამიანის ნათესავების საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი თუ სესხად აღებული ფულიდან, წელიწადში მილიარდ ორას მილიონ დოლარს შემოტანილ საკვებში ხარჯავდნენ, ხოლო აქედან მიღებული მოგების დიდი ნაწილი ე.წ. ნაც-ექსპორტიორების ანგარიშებზე დღესაც ილექება.

არადა რა სჯობს? – ქვეყნის საკუთარი სურსათით უზრუნველყოფა, როცა საზოგადოებას შეუძლია გააკონტროლოს მისი დამზადება, შენახვა და მასში სხვადასხვა დანამატების შემცველობა (კონსერვანტები, გემოვნების დანამატები, საღებავები),

რომელთა მოხმარებამ საკვებში არამარტო ახლანდელი, არამედ მომავალი თაობებისათვის ჯანმრთელობის მხრივ შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს თუ მუდმივად სხვა ქვეყნებისათვის ხელებში მიჩერება, რათა გადასაყრელად გამზადებული ე.წ. „საკვები“ ჩვენისთანა ღარიბ ქვეყანას რაღაც ფასად მიასალოს (რას კარგავს, გადაყრით რას გამორჩება). ასეთ შემთხვევაში საკვები პროდუქტები შეიძლება გარდაიქმნას ერის გენოციდის იარაღად, რაც ფაქტურად სახეზეა – წელიწადში 7000 ახალი ონკოვადმყოფის მკურნალობა რა უჯდება ოჯახებს? – დაახლოებით 35-40 მილიონი ლარი. რა ჯდება გაახალგაზრდავებული მასობრივი დიაბეტი თუ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, რომლის მკურნალობისათვის თანხის დიდ ნაწილს კაბალურ სესხად იღებენ ოჯახები?! – ასევე ათეული მილიონები. შედეგად, ათეული ათასობით იპოთეკით დატვირთული და გასაყიდად გამზადებული საცხოვრებელი ბინა, რომლის კაპიტებად ხელში ჩასაგდებად ჩასაფრებულია ათასობით აფრიკელი თუ ინდუსი!

აი, ასეთია საქართველოს ყოფილი ხელისუფლების აგროსექტორთან დამოკიდებულების შედეგები. დროა ასეთი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის მიმართ ძირეულად შეიცვალოს, თანაც ყველა დონეზე; სოფლის საკრებულოდან დაწყებული, მინისტრებით და პარლამენტარებით დამთავრებული. დროა პარლამენტში დებატები იმაზე მიდიოდეს, ბიუჯეტის რამდენი პროცენტი უნდა მიმართოს აგრარული სექტორისაკენ, რათა უახლოეს წლებში მოხდეს მისი რეანიმაცია. დღეისათვის ეკონომიკურად ძლიერმა ქვეყნებმა სოფლის მეურნეობის აღორძინებისაკენ პირველი ნაბიჯები გადადგეს და აქ მიღწეულმა წარმატებამ სათავე დაუდო გადამშუშავებელი მრეწველობის განვითარებას. ამ დარგმა ბიძგი მისცა მძიმე მრეწველობას. მრეწველობაში ხალხის კონცენტრაციამ დიდი როლდენობით იაფი და ყუათიანი სურსათის მოთხოვნა წარმოშვა, რომლის სტაბილური და ხარისხიანი წარმოების დასაფინანსებლად მრეწველობიდან, ვაჭრობიდან და სხვა მაღალმომგებიანი დარგებიდან ამოღებული თანხებით სოფლის მეურნეობის დაფინანსება გახდა საჭირო, რადგან ფასების დისპარიტეტი მრეწველობი-

სა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ არ მიმდინარეობს. სისტემატურად იზრდება ფასები წარმოების საშუალებებზე, სანვავ-საცხებზე, სასუქებსა და შხამ-ქიმიკატებზე მაშინ, როცა სურსათზე ფასების მცირედი მატებაც კი საზოგადოებაში რევოლუციურ პროცესებს იწვევს.

საქართველოს აყვავებული სოფლის მეურნეობა ქვეყნის სოციალური სტაბილურობისა და ერის ჯანმრთელობის გარანტიად იქცევა, ხოლო ამ ყველაფრის შემქმნელი ფერმერი-ღირსეულ და დაფასებულ პიროვნებად.

ამიტომ ამ ეტაპზე საკანონმდებლო დონეზე უნდა აღიკვეთოს წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ბოლშევიკური მეთოდებით, ხელოვნურად გაზრდილი მიწის გადასახადებით (400-500%-ით), მორწყვის, საქონლის გადარეკვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „მექანიზატორის“ ტექნიკით მომსახურების, 8-10 წლის წინ განერილ გადასახადებზე დარიცხული კოლოსალური საურავებით და ჯარიმებით სოფლის მეურნეობიდან, ანუ ფერმერის გაფხეკილი ჯიბიდან ამა თუ იმ გზით, თანხების ამოღება.

აგრარული დარგისადმი საქმიანი მიდგომა იქნება გამოცხადდეს ფინანსური ამინისტია; ჩამოიწეროს საურავები და ჯარიმები, განისაზღვროს გონივრული ვადა ძირითადი თანხების დასაფარად, საბანკო კრედიტების რესტრუქტურისა და ე.წ. „შავი სიებიდან“ ფერმერების ამოღებით, აგროსექტორის მსხვილი სეგმენტის წარმოებაში ჩაერთოს, რაც გაზრდის საგადასახადო ბაზას მომავალში და ხელს შეუწყობს კოოპერატიული მოძრაობის გაფართოებას. აუცილებელია ჩამოყალიბდეს სოფლის მეურნეობის წარმოება-გადამშუშავებელი ბაზის ერთიანი სისტემა, რომელიც პირველ რიგში საქართველოს მოსახლეობას ჯანმრთელობისათვის ვარგისი საკვებით დააკმაყოფილებს, ხოლო ზედმეტს ექსპორტზე გაიტანს. თორემ რა გამოდის – მილიარდ ორასი მილიონის პროდუქციას გარეთ ვყიდულობთ, შიგა ბაზარი მთლიანად სხვას დავუთმეთ და გვიხარია რუსეთში ან სხვა ქვეყანაში ორიოდ მილიონის ლვინოს ან ბორჯომს თუ გავაყიდინებენ. შიგა ბაზარი მთლიანად ასათვისებელია, ბატონებო! ჯერ საკუთარს მივხედოთ, ნუ ვანიავებთ

ასე სიმწრით ნაშოვნ ვალუტას საექ-
ვო წარმოების სურსათის საყიდლად.
სოფლის მეურნეობისათვის ყოველწ-
ლიურად ერთი მილიარდი დოლარის
წარმოების საშუალებები რომ შემო-
ვიტანოთ (რასაც სურსათის შექმნაზე
ვხარჯავთ), წარმოიდგინეთ რამდენი
ადამიანის დასაქმება შეიძლება, რომ
არაფერი ვთქვათ ხარისხიანი სურსა-
თით მოსახლეობის მომარაგებაზე.

ქართული საზოგადოებისა და მისი
ლიდერების გასაგონად კიდევ მიიწვე
გავიმეორო: ჩვენი ქვეყანა უახლოეს
პერიოდში ან მიაღწევს საკუთარი აგ-
როწარმოების განვითარებით ქვეყ-
ნის სასურსათო უსაფრთხოებას, ან
შემოტანილი „საკვებით“ ერის ჯანმ-
რთელობის მდგომარეობა კიდევ უფ-
რო გაუარესდება!

ხალხზე მზრუნველი ყველა მთავ-
რობა განსაკუთრებულ ყურადღე-
ბას უთმობს საკუთარ აგროსექტორს
რადგან იცის, რომ ფასების დისპა-
რიტეტი ასეთია: სამრეწველო პრო-
დუქციაზე ფასები ორჯერ ასწრებს
სოფლის მეურნეობის პროდუქციის
ფასებს. ამ მდგომარეობის დასარე-
გულირებლად აშშ-ს ბიუჯეტიდან
სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა-
ზე მიემართება 24%, ანუ ბიუჯეტის
მეოთხედი. ევროკავშირიდან – მესა-
მედზე მეტი; თვით ბელორუსია, რო-
მელიც სიმდიდრით არ გამოირჩევა,
სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა-
ზე ხარჯავს ბიუჯეტის 21%-ს. სამ-
ნუხაროდ, საქართველოს ბიუჯეტის
სტრუქტურაზე ამ დროისათვის მო-
ნაცემები არ გაგვაჩნია.

მაინც რა მოტივაცია ამოძრავებს
ქვეყნებსა და მთავრობებს, მათ შო-
რის აშშ-ს მთავრობას აგროსექტო-
რისაკენ მიმართოს ასეთი უზარმაზა-
რი როდენობის ფულადი რესურსები
მაშინ, როცა ამ ქვეყნის აგროსექტო-
რი დიდი ხანია განვითარების უმაღ-
ლეს საფეხურზეა აყვანილი როგორც
ტექნიკური, ასევე ტექნოლოგიური
თვალსაზრისით? მოდით, გადავხე-
დოთ საქართველოსათვის საოცნე-
ბო სამოთხის აგრარული სექტორის
მდგომარეობას ახალი საუკუნის და-
საწყისში.

აშშ-ს მიწის ფართობი 916 მილიონ
ჰექტარია, საიდანაც 765 მილიონი
ანუ 80 % გამოიყენება სასოფლო-
სამეურნეო დანიშნულებით, აქედან
70% განფენილია მაღალი ნაყოფიე-
რების და 700 მმ-ზე მეტი ნალექების
ზონაში.

ამერიკის აგროსამრეწველო კომ-
პლექსი მნიშვნელოვან ადგილს იკა-
ვებს ქვეყნის ეკონომიკაში. მთლიანი
პროდუქციის მოცულობა 1,4 ტრი-
ლიონ დოლარს აღწევს, ანუ საერთო
პროდუქციის მოცულობის 13 %-ს.
აგრარულ სფეროში დასაქმებულია
23 მილიონი კაცი, ანუ ქვეყნის დასაქ-
მებული მოსახლეობის 18%. ამერიკის
აგრარული სექტორი წარმოადგენს
არა მარტო უდიდეს, არამედ ეკონო-
მიკურად ეფექტიან მოდელს.

ფერმებში მუშაობს 1,7-1,9 მილიონი
ფერმერი და მათი ოჯახის წევრი, ასევე
ერთი მილიონი დაქირავებული მუშა,
რომელიც წელიწადში 60-70 მილიარდი
დოლარის პროდუქციას აწარმოებს.
განსაკუთრებულ როლს ასრულებს გა-
დამუშავების, შენახვის, ტრანსპორტი-
რებისა და სასოფლო-სამეურნეო პრო-
დუქციის რეალიზაციის სფერო, რადაც
17 მილიონი ადამიანი მუშაობს და 600-
650 მილიარდი დოლარის პროდუქცი-
ას, ანუ აგროკომპლექსის მთლიანი მო-
ცულობის 60 %-ს აწარმოებს.

ქვეყნის ფერმერებს მოჰყავთ 340-
350 მილიონი ტონა ყველა სახის მარ-
ცვალი. საშუალო მოსავლიანობაა 57-
59 ცენტნერი, ინარმოება 37 მილიონი
ტონა ხორცი, 76 მილიონი ტონა რძე,
85 მილიონი ცალი კვერცხი. სოფლის
მეურნეობაში სასაქონლო პროდუქ-
ციის 75%-ს 180 ათასი ფერმა ანუ
ფერმერული მეურნეობის 9 % აწარ-
მოებს. მცირე ფერმერების ძირითადი
მასა საქონლის საკვების წარმოება-
ში და მეხორცულ მეცხოველეობაშია
დასაქმებული.

მსხვილი ფერმერები პროდუქციას
ინდუსტრიული ტექნოლოგიების გა-
მოყენებით აწარმოებენ.

ამერიკის აგრარული სექტორი ყა-
ლიბდებოდა 200 წლის წინ. მეოცე სა-
უკუნის 30-იანი წლებიდან ის მკაცრი
სახელმწიფო რეგულირების კონტ-
როლის ქვეშ არის მოქცეული (პრე-
ზიდენტ რუზველტის მმართველობის
დროიდან, ქვეყნის ეკონომიკის პო-
ლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვა-
ნად).

ამერიკის აგრარული პოლიტიკა
როგორც ბოლო პერიოდის, ისე ად-
რეულ საკანონმდებლო აქტებს (1980,
1990, 1996 წ.) ეყრდნობა, რომლებიც
ახლდება და კორექტირდება ფერმერ-
თა და აგროფერმების მხარდაჭერის
აუცილებლობიდან გამომდინარე,
სოფლის მეურნეობის განვითარებისა
და მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის
ექსპორტის ზრდის მხარდასაჭერად.

1980-1996 წწ. აშშ-ს აგროსექტორ-
ში პირდაპირმა ტრანსფერმა 428 მი-
ლიარდი დოლარი, ანუ მთლიანად
წარმოებული სასოფლო-სამეურნეო
პროდუქციის ღირებულების 21% შე-
ადგინა. სახელმწიფო რეგულირების
შედეგად გაიზარდა აგროსაწარმოე-
ბის რიცხვი (კონცერნები, ჰოლდინ-
გები) და შემცირდა მცირე საოჯახო
ფერმები.

აგროსაწარმოო კომპლექსის მარ-
თვის ძირითადი ორგანო-სოფლის
მეურნეობის სამინისტრო თავისი ბი-
უჯეტის 75%-ს მოსახლეობის სურსა-
თით დახმარების პროგრამებზე ხარ-
ჯავს. მაგ. SNAP-ის, რომელიც ითვა-
ლისწინებს იმ ოჯახების სასურსათო
დახმარებას, ვინც საარსებო მინიმუმს
დაბლა იმყოფება. პროგრამაში ჩარ-
თულია 46 მილიონი ადამიანი. თითო-
ულ ამერიკელზე ყოველთვიურად 133
\$ იხარჯება. ამ პროგრამაში ხვდებიან





სოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, მისი მომსახურება (ტექნიკა, ტექნოლოგია, ქიმიური მრეწველობა, მოსავლის დაცვა და სხვ.), გადამამუშავებელი სფერო (რძე, ხორცი, ელევატორები), სავაჭრო ობიექტები.

უშუალოდ სოფლის მეურნეობა პროდუქციის (ნედლეულის) სულ 8 %-ს აწარმოებს. გადა-

მუშავების სფერო შენახვის, ტრანსპორტირების, გასაღების 62 %-ის ღირებულების პროდუქციას ქმნის. ნამგებიანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეული გადამამუშავებისა და რეალიზაციის პროცესში ღებულობს მაღალ სამომხმარებლო თვისებას და მაღალი ფასის პროდუქციად გარდაიქმნება.

სახელმწიფოს როლი გამოიხატება აგროსამრეწველო სფეროებს შორის შემოსავლების გადანაწილებასა და უშუალოდ პროდუქციის მწარმოებლის, ფერმერის სუბსიდირებაში. ამერიკის მცირე ფერმერების ანალიზი აჩვენებს, რომ საუკეთესო აგრარულ ქვეყანაში არაეფექტურად მიწების 40% გამოიყენება. ეს მიწები ძირითადად მცირე ფერმერთა საკუთრებაშია და რომ არა სახელმწიფო დახმარების პროგრამები, ფერმები ნამგებიანი გახდებიან და გაკოტრდებიან.

ამერიკის მთავრობა იძულებულია დაეხმაროს ფერმერებს, რომ შეინარჩუნოს ისინი მიწაზე. აშშ-ს მთავარი ძალისხმევა ბოლო ათწლეულში მიმართულია მსხვილი ფერმების ფორმირებისაკენ. აგროსაწარმოები განსაზღვრავს აშშ-ს უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე. აქ შეიქმნა ინდუსტრიული კომპლექსები, რომელთა რიცხვი სულ – 8 %-ია საერთო ფერმერულ ამქარში, მაგრამ 145 მილიარდი დოლარის პროდუქციას აწარმოებს.

ამერიკის გამოცდილება აჩვენებს, რომ მიწის მცირე ფართობები არ იძლევა საშუალებას გამოყენებული იქნეს მელიორაციის, თესლბრუნვის, ქიმიური საშუალებების, ავიაციის მაღალმწარმოებლური ტექნიკის

უპირატესობები, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ეფექტურობის საკითხში. ხომ არაფერი გეცნო, მკითხველო? სულ რაღაც ოციოდე წლის წინ, საქართველოს აგრარულ სექტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიკაში. ამერიკის აგროსექტორი უკანასკნელ წლებში სწორედ აქეთკენ მიისწრაფვის. ჩვენ ეს უკვე გვქონდა, მაგრამ ქვეყნის მაშინდელმა ეკონომიკურმა გუნდმა, რომელსაც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა აგრარული სისტემის თავისებურებაზე, ჯერ მეტაღურგი სიგუა შეიყვანა შეცდომაში და ხელი მოაწერინა ავადსახსენებელ № 48 დეკრეტზე 1992 წლის დასაწყისში, რომელმაც დასაბამი დაუდო აგრარული სექტორის ნგრევას, ხოლო მოგვიანებით ისტორიკოს შევარდნაძეს შეუჩნდნენ და 1996 წელს საბოლოოდ გააფორმეს აგროსექტორის დასამარება. ნაციონალურად არ დავუკარგავ „დამსახურებას“, მათ ბენდუქიძის მეთაურობით აგროსექტორის საფლავეზე მიწა საგულდაგულოდ მოასწორეს, მისი არსებობა რომ არავის გახსენებოდა.

გავაგრძელოთ ამერიკის აგრარული სექტორის თავისებურებებზე საუბარი, რომლის მრავალწლიანი გამოცდილება ადასტურებს, რომ კერძო საკუთრება მიწაზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ წარმოადგენს მიწის ხარისხის შენარჩუნების გარანტიას. მოგებას გამოდევნებულმა ბევრმა ფერმერმა უარი თქვა თესლბრუნვაზე, გადავიდნენ მონოკულტურაზე, შეამცირეს ნასვენნი მიწები და დაიწყეს ეროზირების მხრივ საშიში ფართობების მოხვნაც კი.

გამოსავალი მოიძებნა პროდუქციისა და ფასების სახელმწიფო რეგულირებაში.

სამომავლოდ გასათვალისწინებლად გადავხედოთ დროის სხვადასხვა მონაკვეთებში აშშ-ს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საკანონმდებლო საფუძვლების ტრანსფორმირების პროცესს.

კანონმა „აშშ-ს სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“ 1985 წელს იურიდიული საფუძველი ჩაუყარა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ ეტაპს.

პირველ რიგში კანონმა, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებული დარგისადმი, სასოფლო-სამეურნეო წარ-

მოებისადმი მიდგომა განამტკიცა, რასაც ამერიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. დარგის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განამტკიცა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფართო სუბსიდირების კურსი.

კანონმა რადიკალურად შეცვალა სახელმწიფოს მიდგომა სასოფლო-სამეურნეო რესურსების გამოყენებისა და სასურსათო უსაფრთხოების პერსპექტივების მიმართ. კანონმა ორი მიმართულება გამოკვეთა: „კომერციული სოფლის მეურნეობის სტაბილიზაცია“ და „სასოფლო რაიონების კეთილდღეობის უზრუნველყოფა“. კანონის ლოგიკამ განსაზღვრა ძირითადი მიმართულება – სახელმწიფოს ორიენტაცია მსხვილი მეურნეობების სასარგებლოდ, რომელიც სასაქონლო პროდუქციის წარმოების გზაზე გადამწყვეტი კომპონენტია, ხოლო მეორე მიმართულება – სასოფლო რაიონებში სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მცირე და საშუალო ფერმერის სახელმწიფო მხარდაჭერა.

1985 წლის კანონმა სახელმწიფო სუბსიდირების ახალი მექანიზმები შემოიღო სოფლის მეურნეობაში, მათ შორის გირაო (წინდი) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩადება სახელმწიფო დაკრედიტების სანაცვლოდ, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის ექსპორტს.

ასეთი გაფართოებული იურიდიული ბაზის პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების დაბანდება სოფლის მეურნეობაში გასული წლის 80-იან წლებში მიაღწია 60 მილიარდ დოლარს წელიწადში. ამ პერიოდიდან სახელმწიფო საკუთრებაში აღმოჩნდებოდა ხოლმე ქვეყანაში წარმოებული მარცვლის 47%, რძის პროდუქტების 75 %.

ამ კანონმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მიწების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, რომელთა გატარება მთავრობამ ამერიკის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის რანგში აიყვანა. კანონმა ყველა მეურნეობა, რომელიც ეროზიების მხრივ მაღალი რისკის მიწებს ამუშავებდა, ნიადაგდამცავი ღონისძიების გატარებაში დაავალდებულა, სხვაწარად ფერმერი ყველა სახელმწიფო სუბსიდიას კარგავს.

კანონმა განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან 10 წლის ვა-

დით იმ მიწების ამოღების ღონისძიებები, რომელსაც ეროზიის საფრთხე ემუქრება. ასეთი მიწები გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში და აღდგენის ღონისძიებებს სახელმწიფო აფინანსებს.

1987 წელს მიიღეს სპეციალური კანონი „წყლის რესურსების ხარისხის შესახებ“, რითაც კონტროლდება სასმელ წყალში პესტიციდების რაოდენობა.

ამგვარად ამერიკის კანონმდებლობის ცვლილებები 1985-2002 წწ. გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მისი სტაბილიზაციის მიზნით მნიშვნელოვნად გაიზარდა, რათა სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება შეინარჩუნოს.



21-ე საუკუნეშიც აშშ-ის აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები უცვლელია, ესაა: 1) შიგა და გარე ბაზარზე ამერიკელი სოფლის მეურნეობის მწარმოებლის ინტერესების დაცვა;

2) სოფლის მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;

3) სოფლად სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება.

2001 წელს გამოქვეყნდა ახალი აგრარული პოლიტიკა „სურსათი და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა; კრიტიკული გააზრება ახალი საუკუნისათვის“, რომლის ძირითადი პოსტულატი აგრარული პოლიტიკისა და პროგრამების ურთიერთდაკავშირებაა. სახელმწიფო აძლიერებს სურ-

სათზე ხარისხის კონტროლს. კვებაზე დამოკიდებული ადამიანის ნორმალური ცხოვრების 40-50% მაშინ, როცა მედიცინაზე მხოლოდ 8-9%-ი, – ამბობენ ამერიკელები.

სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკური სტიმულირების ამერიკული სისტემა მიმართულია სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებისაკენ, რადგან მოსახლეობის სურსათით მომარაგებას უზარმაზარი ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსები სჭირდება, მაგრამ ეს ხარჯები ამართლებს თავის მიზანს, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას!

აღსანიშნავია, რომ ამერიკელები სასურსათო პროდუქციის შესაძენად შემოსავლის 10-11 %-ს ხარჯავენ მაშინ, როცა გერმანელები ხარჯავენ 17 %-ს, ქართველები ალბათ ვხარჯავთ 80 %-ს.

ამრიგად, ამერიკის სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო როლის ზრდა ხელს უწყობს ხელმისაწვდომი, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სურსათის წარმოებას და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ფასში მიწოდებას, რაც განპირობებულია წარმოების ინტენსიფიკაციის სხვადასხვა ფაქტორებითა და უახლესი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების გამოყენებით.

საქართველოს ახალი ხელისუფლება გაპარტახებული აგრარული სექტორის აღდგენის უმძიმესი ამოცანის წინაშე დგას. მან შეზღუდული ფინანსურ-მატერიალურ-ტექნიკური, დაბალკვალიფიციური შრომითი რესურსებით, უახლოეს პერიოდში უნდა მიაღწიოს სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურ მოთხოვნილებამდე აყვანას. სხვაწარად უზარმაზარი ფინანსები ამაოდ დაიხარჯება, ვერც მოსახლეობის საკუთარი სურსათით მომარაგებას შეეძლებთ და ვერც ხალხის დასაქმებას.

ამ ძნელ სავალზე, ალბათ ყურადსაღებია მსოფლიო ლიდერის გამოცდილება, თუ სხვადასხვა ეტაპზე საკანონმდებლო დონეზე როგორ სტიმულირდებოდა აშშ-ს სოფლის მეურნეობა, რითაც ქვეყანამ სასურსათო უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს მიაღწია.

თამაზ გურდულაძე,
ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში. სიღნაღი

ბთაპაზოტ სიმინდის ჰიბრიდის „ლომთაგორას“ თესვა-მოყვანის ტექნოლოგიას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსთვის


დასავლეთ საქართველოსთვის

№	ჩასატარებელი ღონისძიება	ჩატარების ვადა
1.	რთული კომპლექსური სასუქების (ამოფოსკა, დიამოფოსკა, ამოფოსი, სუპერფოსი ან სხვა) ნიადაგში შეტანა მოხვნის ან სიმინდის თესვის დროს. შესატანი საკვები ნივთიერებების სავარაუდო დოზებია N 160-180; P100-120; K45-60. კონკრეტული პირობებისთვის შესატანი დოზა განისაზღვრება ნიადაგში არსებული და მცენარის მიერ ნიადაგიდან მოსავლით გამოტანილი შესათვისებელი საკვები ნივთიერების რაოდენობის მიხედვით.	თებერვალი, მარტი, აპრილი
2.	ნიადაგის დამუშავება. დასავლეთ საქართველოს რთულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში სიმინდისთვის ნიადაგი იხვნება ცალკეული ზონისთვის რეკომენდებული წესით, ნიადაგის თვისებების, წინამორბედი კულტურის თავისებურებების და ნიადაგის დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით შემდეგ ვადებში: – იმერეთის დაბლობზე და კოლხეთის დაბლობის შემალღებულ ნაწილში შემოდგომით, ზამთრისპირას ან ზამთარში. – კოლხეთის დაბლობის ძირითად ნაწილში (სამტრედიის ქვემოთ) ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე მინდორში გასვლის პირველი შესაძლებლობისთანავე. ამავე დროს იხვნება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ენერი და ეროზიასაშიში ნიადაგები. – სამეომდგომო და მოზამთრე შუალედური კულტურებისგან (შერიანარევი ბარდა, ცერცველა, ცულისპირა, რაფსი) განთავისუფლებული ნაკვეთები მოსავლის აღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მაისის პირველი დეკადისა, შუალედური კულტურები მწვანე საკვებად და თივად დროულად უნდა იქნას აღებული, რათა არ დაგვიანდეს მომდევნო ძირითადი კულტურის, სიმინდისათვის ნიადაგის მომზადება და თესვა. – აღვური ნიადაგები უნდა მოიხნას 25-27 სმ. სიღრმეზე, ხოლო ენერი და მცირე სიღრმის ნიადაგები ჰუმოსოვანი ფენის მთელ სიღრმეზე, ბელტის გადაუბრუნებლად და სახნავი ფენის თანდათან დაღრმავებით.	თებერვალი, მარტი, აპრილი
3.	ნიადაგის თესვისთვის მომზადება ტარდება დიფერენცირებულად, ხნულის მდგომარეობის გათვალისწინებით. ბელტის ხნული შემოშობისთანავე უნდა დამუშავდეს (დაიჭრას) მძიმე დისკოებიან ფარცხით მცირე ზომის ბელტებზე, რომლებიც ადვილად შრება და მცირე ნალექის შემთხვევაშიც კი მთლიანად სველდება და გაშრობის შემდეგ ადვილად ფხვიერდება. ნიადაგის დაჯდომის შემთხვევაში გაზაფხულზე საჭიროა ხნულის აოშვა საოში გუთნით 12-15 სმ-ის სიღრმეზე და შემდეგ კულტივაცია. თესვის წინ ხნულის ზედაპირის მდგომარეობის გათვალისწინებით ნიადაგი უნდა დამუშავდეს მძიმე დისკოებიანი ფარცხით ზიგზაგთან ერთად ან დაიფრეზოს.	აპრილი
4.	თესვა. დასავლეთ საქართველოში უნდა დაითესოს „ლომთაგორა-1“ და „ლომთაგორა-2“. თესვა უნდა ჩატარდეს 75 სმ. მსკრივთაშორისებით. მსკრივებს შორის მანძილის გაზრდით იზრდება გარე ეფექტი და მცირდება სატრაქტორო სამუშაოების ჩატარების დროს ტექნიკის მოძრაობით გამოწვეული ნათესის დაზიანების პროცენტი. ორივე ჰიბრიდისათვის დგომის ოპტიმალური სიხშირეა, როცა მოსავლის აღების დროს შენარჩუნებულია 50-55 ათასი მცენარე ჰექტარზე. ამ სიხშირის მისაღწევად ერთ ჰექტარზე უნდა დაითესოს 72-75 ათასი მარცვალი. თესვის დროს მსკრივებში მარცვლებს შორის მანძილი უნდა იყოს 18-19 სმ. თესვასთან ერთად ნიადაგში უნდა შევიტანოთ 100კგ. ამონიუმის გვარჯილა. ნიადაგის მავნებლებისგან (მახრა, მავთულა ჭია და სხვა) ნათესის დაზიანების საშიშროების შემთხვევაში თესვასთან ერთად ასევე საჭიროა ინსექტიციდ რეგენტის (4-5კგ. ჰა.) შეტანა მიკროგრანულატორის საშუალებით. თუ რეგენტი ვერ შევიტანეთ, მათში უნდა დაითესოს ინსექტიციდ ნუპრიდით დამუშავებული თესლი. 1 ტონა თესლის დასამუშავებლად საჭიროა 4-5 ლიტრი პრეპარატი, რომელიც უნდა გაიხსნას იმდენ წყალში, რომ სამუშაო ხსნარის რაოდენობა შეადგინოს 10 ლიტრი.	აპრილი, 15 მაისი
5.	ჰერბიციდების (ნიკოში – 1,0-1,5ლ/ჰა; ჰექტორმასი – 0,5-0,6ლ/ჰა; ნიკოფურონი – 1,0-1,5ლ/ჰა; სტელარი – 1,0-1,2ლ/ჰა; მაისი, ტიტუსი 50გრ/ჰა ან სხვა) შეტანა სიმინდის მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში. ფართოფოთლიანი სარეველების წინააღმდეგ აღნიშნულ ჰერბიციდებს უნდა დაემატოს 1ლ/ჰა დიამინი ან ამინის მარილი. შესხურებიდან ერთი კვირის განმავლობაში ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია.	მაისი, ივნისი
6.	მიკროელემენტების შემცველი სასუქების (ამკოლონი, კრისტალონი, ნუტრივანტი, აგროვიტა 2-3კგ/ჰა-ზე) შესხურება ჰერბიციდთან ერთად. მათი გამოყენება ეფექტურია ჰერბიციდების გარეშეც ვეგეტაციის პერიოდში 2-3-ჯერ 2-2 კვირის ინტერვალით. ეს სასუქები ზრდის ჰერბიციდის ეფექტიანობას, ხსნის ჰერბიციდისგან გამოწვეულ სტრესს და ახდენს მცენარის ფოთლოვან გამოკვების დაბალანსებული მიკრო და მაკროელემენტებით.	მაისი, ივნისი
7.	ნათესის პირველი კულტივაცია ამონიუმის გვარჯილის (200კგ/ჰა) შეტანასთან ერთად მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში.	მაისი, ივნისი
8.	ნათესის მეორე კულტივაცია პირველი კულტივაციიდან 12-14 დღის შემდეგ ამონიუმის გვარჯილის შეტანასთან ერთად (200კგ. გვარჯილა ჰა-ზე).	ივნისი
9.	საჭიროების შემთხვევაში მავნებლების (ფარვანა, ხვატარები და სხვა) წინააღმდეგ ინსექტიციდის (ფასტაკი, შეპრა, დეცისი ან სხვა 200მლ/ჰა-ზე) შესხურება მავნებლების გამოჩენისთანავე.	ივნისი
10.	მორწყვა. დასავლეთ საქართველოში გვალვიან წლებში სიმინდისთვის საჭიროა ერთი ან ორი მორწყვა. ორი მორწყვის შემთხვევაში პირველი ტარდება ქუჩუროს ამოღებამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო მეორე – მარცვლის გასვლის ფაზაში.	ივლისი, აგვისტო
11.	მარცვლის მოსავლის აღება.	სექტემბერი
12.	მარცვლის გაშრობა სპეციალურ საშრობში.	სექტემბერი

აღმოსავლეთ საქართველოსათვის

№	ჩასატარებელი ღონისძიება	ჩატარების ვადა
1.	წინამორბედი კულტურის მოსავლის აღებისთანავე ნანვერალის აჩეჩვა მძიმე დისკოებიანი ფარცხით 6-8 სმ. სიღრმეზე.	ივლისი, აგვისტო
2.	ფესურებიანი და ფესვთა ნაყარი სარეველებით დასარეველიანების შემთხვევაში ნანვერალზე ტოტალური ჰერბიციდის (ტორნადო – 2-3ლ/ჰა; ნოკდაუნი – 4-6ლ/ჰა ან სხვა) შესხურება სარეველების 10-15სმ. სიმაღლის ფაზაში.	აგვისტო
3.	რთული მინერალური სასუქების (ამოფოსი, სუპერფოსი; ამაფოსკა; დიამოფოსკა, ან სხვა) ნიადაგში შეტანა მზრალად მოხვნის დროს. მოქმედი ნიტოტერების სახით ნიადაგში შესატანი საკვები ელემენტების სავარაუდო ნორმებია N 160-180; P 100-120; K 30-45 კგ/ჰა. კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენთვის სასურველი მოსავლის მისაღებად საჭირო ნორმები განისაზღვრება ნიადაგის ნაყოფიერების და მოსავლით ნიადაგიდან გამოტანილი საკვები ელემენტების რაოდენობის გათვალისწინებით.	ოქტომბერი, ნოემბერი
4.	ნიადაგის მზრალად მოხვნა 30-35 სმ-ის სიღრმეზე ღრმად გამაფხვიერებელი აგრეგატებით. ღრმად გაფხვიერებულ ნიადაგში უმჯობესდება ჰაერაცია და წყლის რეჟიმი, იზრდება ტენტივადობა, მიკრობიოლოგიური პროცესების ცხოველყოფილობა და მცენარეს ექმნება ზრდა-განვითარების უკეთესი პირობები. ამავე დროს საჭირო არ არის სახნავი გუნთით ნალარად ან ნაზურგად ხვნის მსგავსად საქცევის ბოლოებში აგრეგატის უქმი სვლები, რაც უზრუნველყოფს დროისა და სახნავის ეკონომიას, მცირდება წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიული პროცესების ინტენსივობა.	ნოემბერი
5.	მზრალის პირველი კულტივაცია სარეველების აღმოცენებისთანავე 8-10სმ-ის სიღრმეზე. არ უნდა დაფუშვით სარეველების გადაზრდა, რადგან ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება მზრალის გადახვნა, რაც, როგორც აგრონომიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით დაუშვებელია.	აპრილი
6.	მზრალის მეორე კულტივაცია დაფარცხვით ან დაფრეზვა თესვამდე 3-4 დღით ადრე 6-8 სმ-ის სიღრმეზე.	აპრილი
7.	თესვა. აღმოსავლეთ საქართველოში რეკომენდებულია „ლომთაგორა-1“-ის და „ლომთაგორა-3“-ის თესვა, გარე ეფექტის გაზრდის და მწკრივთაშორისების დამუშავების გადავილების მიზნით თესვა უნდა ჩატარდეს 75სმ. მწკრივთაშორისებით. ამ პირობების დგომის ოპტიმალური სიხშირეა მაშინ, როცა მოსავლის აღების დროს ნათესებში შენარჩუნებულია „ლომთაგორა-1“-ის 50-55, ხოლო „ლომთაგორა-3“-ის 40-45 ათასი მცენარე ჰექტარზე. აღნიშნული სიხშირის მისაღწევად საჭიროა თესლი იყოს I კალასის, ფუნგიციდით დამუშავებული და ჰექტარზე დაითესოს „ლომთაგორა-1“-ის 72-75 ათასი მარცვალი, ხოლო „ლომთაგორა-3“-ის 68-70 ათასი მარცვალი. მწკრივში მარცვლებს შორის მანძილი უნდა იყოს პირველ შემთხვევაში 18-19სმ, მეორე შემთხვევაში 19-20სმ. თესვასთან ერთად აგრეგატში უნდა შევიტანოთ 80-100კგ. აპონიუმის გვარჯილა, ხოლო ნიადაგის მავნებლებისგან (მახრა, მავთულა ჭია და სხვა) ნათესის დაზიანების საშიშროების შემთხვევაში ნიადაგის ინსექტიციდი რეგენტი – 4-5კგ/ჰა-ზე მიკროგრანულატორის გამოყენებით. თუ ვერ მოხერხდა რეგენტის შეტანა, მაშინ უნდა დაითესოს ინსექტიციდი ნიუპრიდით დამუშავებული თესლი. 1 ტონა თესლის დასამუშავებლად საჭიროა 4-5 ლიტრი პრეპარატი, რომელიც უნდა გაიხსნას იმდენ წყალში, რომ სამუშაო ხსნარის რაოდენობამ შეადგინოს 10 ლიტრი.	20 აპრილი, 10 მაისი
8.	ჰერბიციდების (ჰექტორმასი-0,5-0,6ლ/ჰა; ნიკოში-1-1,5ლ/ჰა; ნიკოფურონი – 1,0-1,5ლ/ჰა; სტელარი 1,0-1,5ლ/ჰა; ტიტუსი – 50გრ./ჰა; მაისი – 50გრ./ჰა, ან სხვა) შეტანა სიმინდის მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში. აღნიშნულ ჰერბიციდებს უნდა დაემატოს 1ლ/ჰა დიამარი ან ამინის მარილი. შესხურების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია.	მაისი, ივნისი
9.	მიკროელემენტების შემცველი სასუქის (ამკოლონი; კრისტალონი; ნუტრივანტი; აგროვიტა 2-3კგ/ჰა-ზე) შესხურება ჰერბიციდებთან ერთად. მათი გამოყენება შეიძლება ჰერბიციდის გარეშეც ვეგეტაციის პერიოდში 2-3-ჯერ 2 კვირის ინტერვალით. ეს სასუქები ზრდის ჰერბიციდის ეფექტს, მცენარეს უხსნის ჰერბიციდისგან გამოწვეულ სტრესს და ახდენს მცენარის ფოთლოვან გამოკვებას დაბალანსებული მიკრო და მაკროელემენტებით.	მაისი, ივნისი
10.	ნათესის პირველი კულტივაცია აპონიუმის გვარჯილას (200კგ/ჰა ფიზიკური ნონით) შეტანით მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში.	მაისი, ივნისი
11.	ნათესის მეორე კულტივაცია პირველი კულტივაციიდან 12-14 დღის შემდეგ, სარწყავ პირობებში მეორე კულტივაცია უნდა შეიცვალოს მწკრივთაშორის დაბადებით, რაც აადვილებს მორწყვას, ამ სამუშაოს უნდა დაუკავშიროთ ნათესის მეორე გამოკვება (200კგ. გვარჯილა ჰა-ზე).	ივნისი
12.	საჭიროების შემთხვევაში მავნებლების (ხვატარი, ფარვანა და სხვა) წინააღმდეგ ინსექტიციდის (ფასტაკი, დეცისი, შეპრა ან სხვა ანალოგი 200მლ/ჰა-ზე) შესხურება მავნებლის გამოჩენისთანავე.	ივნისი
13.	მორწყვა. აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე, თუ სიმინდის თესვის დროს ნიადაგი გამოშრალია და საკმარისი ტენი არ არის აღმოცენებისათვის, დათესვისთანავე უნდა დაიჭრას სარწყავი კვლები და ნათესი დაუყოვნებლივ მოირწყას. სავეგეტაციო მორწყვა ტარდება ამინდის პირობების და მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით. პირველი სავეგეტაციო მორწყვა უნდა ჩატარდეს სიმინდის მცენარის 10-12 ფოთლის ფაზაში, მეორე – ყვავილობის დროს, ხოლო მესამე – მარცვლის რძისებრი სიმწიფის ფაზაში. მორწყვა ტარდება გაჟონვის წესით ყველა მწკრივთაშორისში წყლის მიშვებით. მწკრივთაშორის წინასწარ გაკეთებული კვლები საშუალებას იძლევა სარწყავად გამოვიყენოთ მილაკისფონები, რომლებიც თითოეულ კვალს აწვდის ზუსტად გათვალისწინებულ წყლის რაოდენობას. რწყვის ეფექტი მაღალია დაწვინებით მორწყვის დროს.	ივნისი, ივლისი, აგვისტო
14.	მარცვლის მოსავლის აღება.	სექტემბერი
15.	მარცვლის გაშრობა სპეციალურ საშრობში.	სექტემბერი

„ავრო სამეცნიერო ჯგუფი ლომთაგორა“
სოფლის მეურნეობის დოქტორები:
ქ. ლაშვი, ზ. ზინჯიხაძე, ზ. ჯუღუშვიძე, თ. ჯაფარიძე



სხვადასხვა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უსხოელთა მიერ საკუთრებაში შექმნილი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები

რუმინეთი

მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს რუმინეთში მიწის შეძენა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, აუცილებლად ნაცვალგების პრინციპით შეუძლიათ.

ეს ნიშნავს, რომ რუმინეთშიც უცხოელის მიერ მიწის და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, თუ მეორე ქვეყანაც რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებას მისცემს.

დღევანდელი მდგომარეობით რუმინეთში ევროკავშირის სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც თავიანთი საცხოვრებელი ადგილი აქვთ რუმინეთში და იურიდიულ პირებს, რომლებიც რუმინეთში არიან რეგისტრირებულნი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად აქვთ იგივე უფლებები, რაც რუმინეთის მოქალაქეებს. იმ „ევროკავშირის უცხოელებს“ კი, რომლებიც რუმინეთში არ ცხოვრობენ, რუმინეთში მიწის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ნებართვის მიღების შემთხვევაში.

ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სხვა უცხოელებისთვის რეგულირება არ შეცვლილა. მათ, ისევე როგორც 2007 წლამდე (რუმინეთის ევროკავშირში განწევრიანებამდე), არა აქვთ უფლება შეიძინონ რუმინეთში მიწის ნაკვეთი.

ავსტრია

ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) „კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისათვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებული იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ:

არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესი. უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება.

თუ უცხოელს (და მათ შორის არ მოიაზრებიან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები) ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ (rundverkehrscommission) (§8).

დაახლოებით იგივე რეგულირება ავსტრიის სხვა მიწების კანონდებლობებითაც, როგორცაა, მაგალითად, ობეროსტერეიხის (OBERÖSTERREICH) კანონდებლობა. ის ითვალისწინებს, რომ უცხოელის მიერ ყოველგვარი ქონების შეძენა (ყიდვით, ჩუქებით ან გაცვლით) არ საჭიროებს ნებართვას. მაგრამ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შეძენა, არამედ იჯარით აღებაც კი საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის ნებართვა იმ შემთხვევაში შეუძლია უცხოელმა მიიღოს, თუ:

ის აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელსაც საკუთრების შეძენისას ქვეყნის მოქალაქეც უნდა აკმაყოფილებდეს, თუ არ იქნება შელახული ავსტრიის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო ინტერესი ან უშიშროება, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ იქნება შელახული. უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ ავსტრიის ყველა ფედერალურ ერთეულში ვხვდებით მსგავს რეგულირებას.

დანია

დანის კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად მისი გარეგნული ლიბერალური ხასიათისა, აქ ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ქონების შეძენა განსაკუთრებით რთულია არარეზიდენტებისათვის. მათ დანიაში არ შეუძლიათ შეიძინონ ქონება გარდა შემთხვევებისა, როდესაც:

- ისინი არიან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში;

- ისინი არიან არაევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულნი არიან დანიაში, როგორც მუდმივი რეზიდენტები;

- აქვთ მოპოვებული შესაბამისი ნებართვა დანიის იუსტიციის სამინისტროსგან.

მაგალითად, თუ დანიაში ჩასულია სხვა ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიულ პირი და მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია არა აქვს, დანიის იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის გარეშე, ის მიწას ვერ შეიძენს. თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო ნებართვას არ გასცემს, მაშინ საერთოდაც ვერ შეიძენს.

დანიის კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრია ზაფხულის დასასვენებელი სახლების შექმნასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია პოპულარულ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზღვის სანაპიროზე, სადაც მოქმედი სპეციალური შემზღუდავი წესები „ანტიგერმანული წესებითაა“ ცნობილი. ალბათ მარტივი გასაგებია, რომ ეს რეგულაციები შემუშავებულია გერმანელების მიერ სანაპირო ზოლში საკუთრების შექმნის შესაზღუდავად.

შვეიცარია

უცხოელების მიერ შვეიცარიაში მიწის შექმნა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შექმნის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: „უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შექმნის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“. ამ კანონით შეზღუდვები ძირითადად იმ პირებზე წესდება, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და არა იმ უცხოელებზე, რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ კანონის მე-5 მუხლის „ც“ პუნქტით გამოყოფილი არიან უცხოეთში მცხოვრები ის პირები, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობა აქვთ. მე-6 მუხლი კი იქვე განმარტავს თუ რა მოიაზრება „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობაში. ამ განმარტების თანახმად, აქ იგულისხმებიან ფინანსურად განსაკუთრებით კარგი მდგომარეობის უცხოელები ან რომელიმე ქვეყანაში საარჩევნო ხმათა უმრავლესობის მფლობელი, ან კიდევ რაიმე სხვა განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი ადამიანები. კანონით მათზე ნებართვის გაცემა შესაძლებელია, მაგრამ კანონი ამ ადამიანებს განსაკუთრებულ კატეგორიად განიხილავს.

ლატვია

ლატვიის მიწის პრივატიზების კანონმდებლობის შესაბამისად ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს მიწა და ტყე არ შეუძლიათ შეიძინონ!

თურქეთი

თურქეთის კანონმდებლობით უცხოელზე გაყიდული თურქეთის მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2.5 ჰექტარს (გაზრდა, გამოწვლის შემთხვევებში, მაქსიმუმ 30 ჰექტარამდე არის შესაძლებელი). მემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე არ არსებობს შეზღუდვა.

არგენტინა

ახალი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე არგენტინაში განსაზღვრულია ნაყოფიერი მიწის ტერიტორიის ის ოდენობა, რომელიც შესაძლებელია, რომ შეი-

ძინონ უცხოელებმა და იმ იურიდიულმა პირებმა რომელთა 51 % არის უცხოელთა ხელში (მხოლოდ 1.000 ჰექტარი). უცხოელთა საკუთრებაში შეიძლება იყოს არგენტინის მთლიანი ტერიტორიის მაქსიმუმ 20%. არგენტინის პრეზიდენტი ქრისტინა ფერნანდეს დე კირხნერი თავის კანონპროექტს მიწის უცხოელთა საკუთრებაში გადაცემის შემოფარგვლის აუცილებლობაზე შემდეგნაირად ასაბუთებდა: „არგენტინა არაა პირველი ქვეყანა, რომელიც მსგავს რეგულირებას აწესებს. ასეთივე რეგულირებები აქვთ ბრაზილიას, კანადას, აშშ-ს და საფრანგეთს. შეზღუდვა დანესებული აქვთ ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებს“. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში განვითარებული ეს ტენდენცია ძირითადად იმაზეა დაფუძნებული, რომ მიწის რესურსი ამონურვადია და მისი უცხოელების ხელში გადასვლა სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე მოქმედებს.

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობით უცხოელებს მიწის საკუთრებაში შექმნასთან დაკავშირებით იგივე შეზღუდვები აქვთ, როგორც გერმანიის მოქალაქეებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნისთვის აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა და ასევე ის წინაპირობა, რომ ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებაში იქნის მიწის ნაკვეთს, უნდა იყოს 18 წლის, მიუხედავად იმისა, იქნება ის უცხოელი თუ გერმანიის მოქალაქე. გერმანიაში საკმაოდ ფრთხილი მიდგომა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, ნებისმიერის, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

რუსეთი

რუსეთში სულ არის დაახლოებით 400 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. აქედან 129 მილიონი კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება. 2006 წლამდე რუსეთში არსებობდა აკრძალვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. რადგან რუსეთში ძალიან დიდი გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა, 2006 წელს გაუქმდა მსგავსი აკრძალვა უცხოელებზე. თეორიულად უცხოელს შეუძლია იყიდოს რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მიწა, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ასევე ქვეყნის მოქალაქეზე ვრცელდება. მაგალითად, ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციაა – დაადგინონ მაქსიმუმი იმ მიწისა, რომელიც შეუძლია საკუთრებაში შეიძინოს ერთმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

როგორც ჩანს, ზოგადი შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელთა მიერ საკუთრებაში შექმნისა რუსეთის კანონმდებლობით არ არსებობს გარდა ერთი გამონაკლისისა. აკრძალულია რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისება. ასეთი ტერიტორიების ზუსტი დასახელება რამდენიმე წელი უცნობი იყო, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის 9 იანვრის ბრძანებით განისაზღვრა ის ტერიტორიები, რომლებიც ექცეოდა

უცხოელებისთვის შესასყიდად აკრძალული ტერიტორიების ნუსხაში. საკმაოდ გრძელ სიაში აღმოჩნდა რუსეთის 380 რეგიონული ქვედანაყოფი. მათ შორისაა შორეული აღმოსავლეთის და ციმბირის ტერიტორიული საზღვრები, ასევე ქალაქი კალინინგრადი და მის ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწები და არასასოფლო-სამეურნეო მიწები. უცხოელებს ეკრძალებათ ასევე უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიებისა და, რა თქმა უნდა, ქალაქ სოჭისა და აზოვის ზღვასთან მოსაზღვრე ტერიტორიების მიმდებარე მიწების შეძენა. გრძელ ჩამონათვალში გვხვდება ასევე აკრძალვა კრასნოდარის და მთლიანი კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.

უკრაინა

უცხოელი ინვესტორებისთვის საინტერესოა უკრაინის ნაყოფიერი მიწები. უკრაინაში 32 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ზოგიერთი ნაწილი რადიაციულად დასაზიარებული იყო, უკრაინული მიწები მაინც ძალიან ნაყოფიერად ითვლება. ამიტომაც ბუნებრივია უცხოელთა ინტერესი ამ მიწების შეძენაზე. სწორედ ამან გამოიწვია უკრაინაში მიწის მორატორიუმის შემოღება, რომელიც 2012 წლის ბოლომდე კრძალავდა მიწის გაყიდვას. უკრაინაში არ არის დაშვებული უცხო ქვეყნის ფიზიკური პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა. თუმცა აქაც მოქმედებს იურიდიული პირის დარეგისტრირების გზით მიწის შესყიდვის სქემები. შესაძლებელია 50-წლიანი იჯარის გაფორმებაც. უკრაინელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს კი მიწა აქვთ იჯარით (50 წ-მდე). ასევე იჯარით აქვთ უკრაინული მიწის 17 მილიონი ჰექტარი უცხოურ ფირმებს.

მოლდოვა

მოლდოვას რესპუბლიკის შემთხვევაშიც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შეუძლია ნებისმიერ პირს - მოქალაქეს, არამოქალაქეს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, აქ გამონაკლისია დაშვებული მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზე. მოლდოვის კანონმდებლობის შესაბამისად, ამ უკანასკნელთ არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის უფლება.

ბულგარეთი

ბულგარეთის შემთხვევა ჩვენითვის საინტერესოა, რადგან ეს ქვეყანა ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული პირობებით ჩვენი მსგავსია. აქ უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბულგარეთში დაარეგისტრირებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას. ეს რეგულაცია უცხოელ (არამოქალაქე) ფიზიკურ პირებს მიწის პირდაპირ შეძენას უზღუდავს, თუმცა იურიდიული პირის დაფუძნების შემდგომ ეს საკმაოდ მარტივი ხდება.

აღნიშნული რეგულირება ძალიან ნააგავს საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არსებულ ვითარებას.

მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბულგარეთში მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ: თუ ისინი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთანაც ბულგარეთს 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს დადებული; თუ ქონებას მიიღებს მემკვიდრეობით; თუ არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი ბულგარეთში; თუ არის ევროკავშირის თვითდასაქმებული ფერმერი და მიწას ბულგარეთში დასასახლებლად და სამუშაოდ ყიდულობს.

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ქვეყნებისთვის არსებობს ლიბერალური და „მინაურული“ რეგულირება, ხოლო არანეგრი ქვეყნებისათვის ცალსახად მოქმედებს ზემოთ მოცემული შეზღუდვები და მათ თავისი სახელით ფაქტობრივად არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა.

უნგრეთი

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის უცხოელთა საკუთრებაში ქონის შესახებ სულ 4 გადაწყვეტილება მიიღო. თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მან განმარტა მიწის საკუთრების ფუნქციები, რათა დაესაბუთებინა ის შეზღუდვები, რომლებიც მიწის შეძენასთან დაკავშირებით არსებობდა.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო მიწას ხედავს, როგორც საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტს, და შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული სამართლებრივი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. ის განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ მცირე რესურსი არსებობს და ის სხვა ღირებულებებით შეუცვლელია. ამიტომ მიწის საკუთრების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არის საჯარო ინტერესი. სასამართლოს აზრით ტყეები და ნაყოფიერი მიწები ისტორიულად ერთობლივად, კოლექტიურად გამოიყენებოდა. ამიტომაც, მისი აზრით, ისტორიიდან მოყოლებული ნაყოფიერ მიწებზე, ისევე როგორც ტყეზე, საჯარო ინტერესი დღესაც არსებობს. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელებისადმი მიმართული შეზღუდვა მიწის საკუთრებაში შეძენისა ლეგიტიმურად ჩათვალა.

ბულგარეთისა და უკრაინის მსგავსი მორატორიუმი მოქმედებდა უნგრეთშიც.

ზოგადად ევროკავშირი, აშშ და სსკ.

არცერთ თანამედროვე ქვეყანაში მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24

ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. ამასთან, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა გააჩნდეს, რომელსაც დაინიშნის იუსტიციის სამინისტრო გასცემს. შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევს. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75%-ს მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს. აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში. მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში

7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ ალკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

აბატა კელაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალი სანარმო

ბარდახნის რაიონის სოფელ კალინინოში ბრანულირებული საკვების სანარმო გაიხსნა

სანარმო თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და 40 დასახელების უმაღლესი ხარისხის ბრანულირებულ/კომბინირებულ საკვებს „GEOFEED“-ს სანარმოებს მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, ფრინველის და თევზისთვის.

ახალი სანარმო შპს „ფარიდის“ მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციით (1.8 მლნ აშშ დოლარი) შეიქმნა. თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სანარმოს წარმადობა საათში 10 ტონას შეადგენს. სანარმოში ამჟამად 25 ადამიანი მუშაობს და სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა 45-მდე გაიზრდება. პროდუქციის სა-

წარმოებლად ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი მარცვლეული. „ქართული საკვების“ (GEOFEED) პროდუქციის წარმოების გარდა, შპს „ფარიდის“ დამფუძნებლები სამო-

მავლოდ ინვესტიციების განხორციელებას მარცვლეულის საშრობი და შესანახი მეურნეობის მონეობის და უნივერსალური ლაბორატორიის შექმნის მიმართულებით გეგმავენ.



მაყვლის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

დასან. იხ. № 12, 2013 წ.; № 1, 2014 წ.

მაყვლის ნაკვეთის გაშენება

მაყვლის ნაკვეთის გაშენებისათვის რამდენიმე მეთოდი არსებობს. სარგავ მასალად ნერგის სახით შეიძლება სტანდარტული ნერგის, ფესვების, ინ-ვიტრო ნერგების ან მწვანე ნერგის გამოყენება. ნერგი ყოველთვის უნდა იყოს სერტიფიცირებული, უვირუსო და მიღებული უნდა იყოს მხოლოდ სანდო საწარმოებიდან (სურათი 12).

მაყვლის სარგავი მასალის ფესვთა სისტემა დარგვამდე ტენიან მდგომარეობაში უნდა შენარჩუნდეს. ნერგის დეჰიდრატაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს მის სიცოცხლისუნარიანობას. ფესვთა სისტემის გაუნყოფების პრევენცია შესაძლებელია ნერგის მთლიანად წყალში დასველებით, ზოგჯერ დარგვამდე ფესვების დროდადრო დასველებით და ღეროს მზის პირდაპირი შუქისგან დაცვით.

მაყვლის დასარგავი მასალა დარგვამდე უნდა ჩაეშვას მეფენოხამში (Ridomil Gold), ან fosetyl-Al (Aliette) ფუნგიციდურ ხსნარში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ფოტოფტორა ფესვის სიდამპლის განვითარება.

სტანდარტული ნერგი მოსვენებაზე მდგომარეობაში

ასეთი ტიპის ნერგი ყველაზე ფართოდ გამოიყენება. ეს არის მოსვენებული მდგომარეობაში მყოფი 1 წლის



სურათი 13. სტანდარტული ნერგის ძლიერი ფესვთა სისტემები.

მცენარე, რომელსაც კარგად განვითარებული, მცირე 25 სმ სიგრძის ფესვთა სისტემა აქვს (სურათი 13).

დარგვისას ნერგის ფესვთა სისტემა უნდა გაიშალოს ნიადაგში. ფესვები უნდა ჩაიფლას 5-7 სმ-ის სიღრმეზე, ღერო უნდა ჩაირგას 2-3 სმ-ით უფრო ღრმად, ვიდრე საწარმოში. დარგვისას ფესვების გარშემო ნიადაგი კარგად უნდა დაიტკეპნოს, შემდეგ კი საფუძვლიანად უნდა მოირწყას თითოეული ღერო გარშემო. ღერო უნდა დამოკლდეს 10-15 სმ სიგრძემდე.

ნერგი უნდა დაირგას გაზაფხულის დასაწყისში რაც შეიძლება ადრე, როგორც კი შესაძლებელი იქნება ნიადაგის დამუშავება.

საქართველოს შედარებით გრილი კლიმატის რეგიონებში ეს პერიოდი მარტის დასაწყისიდან აპრილის შუა პერიოდამდე, როდესაც ტემპერატურა

რა საკმარისად მაღალია და არ დგას მკაცრი ყინვის საშიშროება. რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში იზრდება მცენარე გაზაფხულზე, მით უკეთ შეივსება რიგი. უფრო სწრაფად განვითარდება ფესვთა სისტემა და ფესვი ვარგისი იქნება სარგავ მასალად. ფესვის ნაწილები, რომლებიც გამოიყენება სარგავ მასალად წარმოადგენს ფესვთა სისტემის თხელ ნაწილებს, რომელთა სიგრძე 10-15 სმ-ია და პატარა ფესვთა სისტემა აქვს (სურათი 14). ყოველი ფესვის ნაწილი უნდა იწონიდეს დაახლოებით 60 გრ-ს და ჰქონდეს მრავალი კვირტი. ფესვის ნაწილები მნიშვნელოვნად იაფია, თუმცა მინიმუმ რამდენიმე თვით მეტი დროა საჭირო, ვიდრე მოსვენებული შიშველფესვა ნერგი.

ფესვის ნაწილები უნდა დაირგას გაზაფხულის დასაწყისში. სათანადო დარგვის სიღრმე ძალიან მნიშვნელოვანია ფესვის ნაწილის გადარჩენისთვის. ფესვის ნაწილები უნდა დაირგას დაახლოებით 5სმ. სიღრმეზე. ძალიან ღრმად ან ზედაპირთან ძალიან ახლოს დარგვისას ისინი დაილუპებიან. ნიადაგით დაფარვამდე საჭიროა ფესვების გაშლა.

ინ-ვიტრო სარგავი მასალა

ზოგიერთი ჯიშის ნერგი შეიძლება საწარმოებში წარმოებული იყოს ინ-ვიტრო ტექნოლოგიის გამოყენებით. მათ, როგორც წესი, იყენებენ სადედეებად საწარმოებისთვის ვი-



სურათი 12. მაყვლის ჯანსაღი ნერგი ამოღებამდე რამდენიმე თვით ადრე.



სურათი 14. ფესვის ნაწილების სანერგე მასალა

რუსისგან დაუსნებოვნებელი ნერგების სანარმოებლად.

ინ-ვიტრო ნერგები, როგორც წესი, უფრო ძვირია, ვიდრე დასარგავი მასალის სხვა ფორმები. ინ-ვიტრო ნერგების მოსავლიანობა ნერგის სხვა მაჩვენებლისგან არ განსხვავდება.

ნაირსახეობების მწვანე ნერგი

მაყვლის ნარგავების წარმოება შესაძლებელია აგრეთვე აქტიურად მზარდი „მწვანე“ გადასარგავი მასალის გამოყენებით, რომელიც მანამდე დარგული რიგებიდანაა ამოღებული. გადასარგავი მასალა უნდა იყოს დაახლოებით 15 სმ. სიმაღლის და ჰქონდეს კარგად ჩამოყალიბებული ფესვთა სისტემა. ისინი შეიძლება ამოღებულ იქნას ნაკვეთიდან გვიან გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში და პირდაპირ ახალ ნაკვეთზე დაირგას. მწვანე ნერგები შეიძლება მოთავსდეს ნასვრეტებიან ცელოფენებში და ასეთი ფორმით შეინახოს გარკვეული დროით, გრუნტში დარგვამდე (სურათი 15).

მცენარეთა რიგების ან კვლების ნიადაგის ტენიანობა გადარგვისას უნდა იყოს ნიადაგის ტენტივადობის



სურათი 15. გადარგვამდე ქოთნებში მოთავსებული მაყვლის აკლიმატიზაცია.

მსგავსი. უნდა აღმოიფხვრას საჭირო ჯიბეები ფესვების გარშემო არსებულ ნიადაგში, ფესვის ნაწილის ან შიშველფესვა ნერგის ზემოთ არსებულ ნიადაგზე დანოლით. დასარგავი მასალის დარგვისთანავე საჭიროა მორწყვა. საჭიროა ნიადაგის ტენიანობის შენარჩუნება, თუმცა დარგვის შემდეგ და ამოსვლამდე პერიოდში ჭარბი მორწყვა არ შეიძლება.

დარგვის სქემა

მაყვლის დარგვის სქემა და რიგებს შორის რეკომენდებული მანძილი განსხვავებულია ნერგის ტიპის, ფორმირების მეთოდების და ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაბარიტებიდან გამომდინარე. მაყვლის ნერგებს შორის მანძილი რიგებ-



სურათი 16. ახლად გაშენებული მაყვლის პლანტაცია, რიგებს შორის 3.0 მეტრიანი დაშორებით.

ში 0.9-1.2 მეტრის დაშორებით ხდება. ახალ ღეროებს, რომლებიც ამოდიან მთავარი ნარგავის ვარჯიდან ან ფესვთა სისტემიდან ეძლევათ ბუჩქების უწყვეტი რიგის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ნახევრად ამართულ მაყვლის ჯიშებს შორის დისტანცია რიგში 1.2-1.8 მეტრს უნდა შეადგენდეს. მთავარი ნარგავის ვარჯიდან ამოსული ღეროები მოგვიანებით შეირჩევა ბუჩქების რიგის შესავსებად. მხვიარა მაყვლის შემთხვევაში ნარგავებს შორის საჭიროა 2.4 მეტრი დისტანციის შენარჩუნება რიგში, რათა მცენარეს ჰქონდეს სათანადო სივრცე. ამ სახეობისთვის დამახასიათებელი გაშლილი და ძალიან გრძელი ღეროებიდან გამომდინარე მაყვალი უნდა დაირგას 1.2 მეტრი დაშორებით მთავარ ნარგავებს შორის. რიგის ცენტრებს შორის მანძილი უნდა იყოს სულ მცირე 3.0 მეტრი მაყვლის ყველა ტიპისთვის, თუმცა დიდ ნაკვეთებზე შეიძლება შეადგენდეს 3.6 მეტრამდე დამუშავების და შესას-

ხური ტექნიკის გამოყენების ხელშეწყობისთვის (სურათი 16).

როდესაც მთავარი მცენარე აგრძელებს ზრდას პირველი წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი ღეროები, რომლებიც წარმოქმნილია ფესვთა სისტემიდან ან ვარჯიდან უნდა შეირჩეს და დამუშავდეს მომდევნო წელს მსხმოიარობისთვის ფლორიცანე ტიპის ჯიშებში (სურათი 17). რიგის სიგანე უნდა შენარჩუნდეს 75-100 სმ-ის ფარგლებში, ხოლო ვეგეტატიური ამონაყარი, რომელიც ვითარდება ბუჩქების რიგის სიგანის 100 სმ-ზე გარეთ უნდა ამოიჭრას. ამას გარდა, უნდა მოცილდეს დაზიანებული, დამჭენარი ან აშკარად სუსტი ღეროები.

მცენარეთა სხვა-ფორმირება. სწორმდგომი და ნახევრად სწორ-

მდგომი მაყვლისთვის პირველ წელს ვარჯიდან გამოზრდილი 6-7 ყველაზე ძლიერი ღერო უნდა შეირჩეს და ფორმირდეს მარაოს ფორმის მსგავსად, რათა შეავსოს ბუჩქების რიგი. ვარჯიდან დამატებით გამოზრდილი ღეროები უნდა გაისხლას, რათა შენარჩუნდეს მცენარის ღეროს სათანადო სიმჭიდროვე და მოხდეს ჭარბი ზრდის თავიდან აცილება.

მთავარი მცენარის ვარჯიდან განვითარებული მრავალი ახალი ყლორტი იზრდება უფრო ჰორიზონტალური, ვიდრე ვერტიკალური მიმართულებით (სურათი 17). ზრდის ეს მოდელი კიდევ უფრო აშკარაა სწორმდგომი ტიპის ჯიშებში. ამდენად, ღეროების გასამყარებლად და ვერტიკალური ზრდის შესანარჩუნებლად საჭიროა საყრდენი სისტემა.

საყრდენი სისტემა

მაყვლის ყველა სახეობისათვის საჭიროა საყრდენი სისტემა. საყრდენი სისტემა გაზრდის მოვლის ოპერაცი-



სურათი 17. ტიპური ჰორიზონტალური ორინტაცია სწორმდგომი და ნახევრად სწორმდგომი მაცვლის ჯიშის ღეროების ზრდის პირველ წელს საყრდენი სისტემის გარეშე.

ების ეფექტურობა-ეფექტიანობას, მათ შორის, ხელს შეუწყობს რიგების კულტივაციის, გასხვლის, მცენარეთა დაცვისა და მოსავლის აღების პროცესებს.

მაცვლის საყრდენი სისტემა შედარებით იოლი ასაგებია და სჭირდება მხოლოდ საყრდენი ბოძები და მავთული. ორმავეთიანი I სახის საყრდენი სისტემა გამოიყენება მაცვლის საყრდენად. საყრდენი სისტემა უნდა მოეწყოს ნერგის დარგვისას, ან დარგვიდან მოკლე ხანში. საყრდენი სისტემა, როგორც წესი, შედგება 2 მეტრი სიმაღლის ხის ან ლითონის საყრდენი ბოძებისგან, რომლებიც განთავსებულია ყოველ 4-5 მეტრში და ორიარუსიანი სქელი მოთუთიებული მავთულების (10 ან მეტი) ბოძისგან, რომელიც რიგის სიგრძეს გასდევს (სურათი 18). თითოეული ბოძი ჩასმულია ნიადაგში დაახლოებით 30 სმ სიღრმეზე, ხოლო მიწისზედა სიმაღლე მთლიანად დაახლოებით 1,7 მეტრს შეადგენს. ქვედა საყრდენი მავთულები უნდა მიემაროს რიგის ბოძებს ნიადაგის დონიდან 75 სმ-ზე. ზედა საყრდენი მავთულები ნიადაგის დონიდან 135 სმ-ზე უნდა იყოს.



სურათი 18. საყრდენი სისტემა სწორმდგომი (მარცხენა) და ნახევრად სწორმდგომი (მარჯვენა) მაცვლისთვის.

თითოეული რიგის ბოლოს საჭიროა უფრო მძლავრი ბოძების ჩადგმა.

საყრდენ სისტემაში ნერგები ინდივიდუალურადაა მიბმული ორივე მავთულზე, მათ ზრდასთან ერთად. ზრდის პირველ წელს ფლორიკანის ტიპის მაცვლის მთავარი მცენარის ვარჯიდან უნდა შეირჩეს დაახლოებით 6-7 მთავარი ყლორტი ანუ ღერო. მეორე წელს მსხმოიარობისთვის მცენარის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, ეს 6-7 მთავარი ღერო უნდა მოეწყოს მარაოს ფორმით, რათა შეავსონ სივრცე მიმდებარე მცენარესთან და ჩამოყალიბდეს უწყვეტი რიგი. ყლორტების ზრდა-ნაგრძელებასთან ერთად საჭიროა მათი მიბმა ქვედა და ზედა მავთულებზე, შესაბამისად (სურათი 19).

ცალკეული ყლორტები უნდა გაისხლას ზედა ნაწილში. როდესაც მათი სიმაღლე მიაღწევს დაახლოებით 1.8 მეტრს, საჭიროა ბოლოების გასხვლა ყლორტის მერქნიან მონაკვეთამდე, წვეროდან დაახლოებით 10 სმ-ით დაბლა (სურათი 20).

ყლორტების წვერების გასხვლა ხელს უწყობს მეორადი გვერდითა ყლორტის ფორმირებას, რომლებიც მომდევნო ზაფხულში გამოიხსნამენ ნაყოფს.

რიგის ვიზუალური ნაზარდი

ზრდა უნდა შენარჩუნდეს 90-100 სმ სიგანის და დაახლოებით 2 მეტრი სიმაღლის ფარგლებში. რაც უფრო ფართო ან მაღალია ბუჩქების რიგი, მით უფრო რთული იქნება მათი გასხვლა და მოსავლის აღება. რიგის სიგანის 90-100 სმ-ის გარეთ ფესვებიდან ამოყრილი გვერდითი ყლორტები შეიძლება ნებისმიერ დროს მოცილდეს.

სხვლა

მაცვალი მრავალწლიანი მცენარეა. მისი ფესვთა სისტემა მრავალი წლის განმავლობაში ცოცხლობს. თუმცა, მცენარეები მხოლოდ 2 წლის განმავლობაში ცოცხლობენ და საჭიროა მათი ყოველწლიურად შეცვლა ახალი ღეროებით,

რომელიც ამოდის ვარჯიდან ან ფესვთა სისტემიდან მცენარის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად. მცენარის შიგნით ღეროების ოპტიმალური სიმჭიდროვის, დაბუჩქების რიგის ოპტიმალურად შენარჩუნებისთვის აუცილებელია ღეროების მუდმივად გასხვლა და შეთხელება. ორწლიან ტოტებზე მსხმოიარე მაცვალს ექნება ვარჯიდან ამოსული პირველი წლის ვეგეტატიური ღეროები და უკვე ჩამოყალიბებული მეორე წლის მსხმოიარე ღეროების კომბინაცია, ერთდროულად.

მოსავლის აღების შემდეგ მეორე წლის ღეროები კარგავენ სიძლიერეს და იწყებენ ბიოლოგიურად დაბერებას. ყველა 2 წლის ღერო, რომლებზეც



სურათი 19. უნდა შეირჩეს ვარჯიდან ყველაზე ძლიერი 6-7 ყლორტი და მიებას ქვედა და ზედა მავთულებზე საყრდენის უზრუნველსაყოფად.

გამოსხმული იყო ნაყოფი, უნდა გაისხლას ვარჯამდე, ან ნიადაგის დონეზე მოსავლის აღებიდან ცოტა ხანში. ეს ამცირებს ნაკვეთში დაავადების ნოკულანტის მოცულობას, რომელიც, როგორც წესი, მაღალია მოძველებულ ტოტებში. ამას გარდა, გასხვლა აუმჯობესებს ჰაერის მოძრაობას და მზის შუქის შეღწევას მცენარის შიგნით და დარჩენილ პირველი წლის ღეროებს აძლევს უკეთ განვითარების საშუალებას. როდესაც გაისხვლება 2 წლის ღეროები, რომლებიდანაც მოსავალი უკვე აღებულია, ეს ხელს შეუწყობს მცენარის საბურველის გაშრობას და იმ დაავადებების შემცირებას, რომლებისთვისაც ხელსაყრელია ტენიანი პირობები. გამხმარ და გასხლულ ღეროებში დაავადების სპორები შეიძლება მაღალი რაოდენობით იყოს. გასხლული ღეროების ნაკვეთზე ან მასთან ახლოს დატოვების შემთხვევაში დაავადება შეიძლება ისევ ნარგავებზე გავრცელდეს. გასხლული ღეროების მოცილება და



სურათი 20. გასხვლა, ანუ წვეროდან დაახლოებით 10 სმ-ის მოწყვეტა, როდესაც ყლორტი აღწევს სასურველ სიმაღლეს, დაახლოებით 1.8 მეტრს.

დაწვა ამცირებს დაავადების განვითარების შესაძლებლობას.

ამას გარდა, საჭიროა ზამთრის ბოლოს მოსვენებული ორი წლის ტოტების გასხვლა. თებერვლის შუა პერიოდიდან ბოლომდე საჭიროა ვარჯიდან ან ფესვთა სისტემიდან ამოსული ჭარბი ამონაყრების შეთხელება, რათა შემცირდეს მცენარეთა შორის ან შიგნით კონკურენცია. სასურველია ამ პროცედურის გადადება თებერვლამდე, როდესაც შესაძლებელი იქნება ზამთრის დაზიანების განსაზღვრა. თითოეული მცენარე უნდა გაისხლას ისე, რომ დარჩეს 6-7 ძირითადი ყლორტი ანუ ღერო დაახლოებით 1,5 მეტრზე. გარდა ამისა, მეორადი გვერდითი ტოტები უნდა გაისხლას დაახლოებით 30 სმ-ზე. მეორადი გვერდითი ტოტები უნდა გაისხლას ასევე სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, 30 სმ-ზე. ზამთრის დაზიანების შემთხვევაში საჭიროა ყველა ღეროს მოჭრა ზამთრის დაზიანების ნერტილის ქვემოთამდე.

მიმდინარე წლის ნაზარდზე – მსხმოიარე ჯიშები (მაგალითად, Prime-Ark 45 და Reuben) უნდა გაისხლას ნიადაგის დონეზე ზამთრის ბოლოს (თებერვალი). ახლად აღმოცენებული ყლორტები დაახლოებით 1 მეტრ სიმაღლემდე გაზრდის შემდეგ უნდა დამოკლდეს ზაფხულის დასაწყისში ყვავილების კვირტის ფორმირებამდე (სურათი 21). ეს ხელს შეუწყობს მეორადი გვერდითი ტოტების ფორმირებას და უფრო ძლიერად საყვავილე კვირტების განვითარებას და ნაყოფის გამოსხმას ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომაზე. თუმცა, ღეროების



სურათი 21. ზაფხულში მსხმოიარე ყლორტის წვერის დამოკლება ხელს უწყობს გვერდითი ტოტების ჩამოყალიბებას და ნაყოფიერების გაზრდას.

დამოკლება არ არის რეკომენდებული საქართველოს შედარებით გრილ რეგიონებში, ვინაიდან ეს დაახლოებით 3 კვირით შეაფერხებს აყვავილებას და ნაყოფის წარმოებას. ამან შე-

იძლება გამოიწვიოს ნაყოფის მოსავლის მნიშვნელოვანი დანაკარგი შემოდგომით ყინვით დაზიანების გამო. რეკომენდებული არ არის ზაფხულში ყლორტების წვერების დამოკლება; წვერზე ყვავილების განვითარების შემდეგ, ან თუ სასურველია საადრეო მოსავალი. ზაფხულში სამეგრელოს რეგიონში რეკომენდებულია წვერების დამოკლება. ამან შეიძლება გაზარდოს მოსავლიანობა 2-3-ჯერ ამ შედარებით თბილ რეგიონში, იმ ტოტებთან შედარებით, რომლებიც ბოლოში არ გადაიჭრა. მიმდინარე ნაზარდზე მსხმოიარე ჯიშებისთვის რიგის ყოველი მეტრში დაახლოებით 3-4 ყლორტი უნდა შენარჩუნდეს, ნაყოფის გამოსასხმელად. ყველა სხვა ყლორტი უნდა მოცილდეს.

შესაძლებელია ზაფხულში მოსავლის აღება მაყვლის ნერგის ქვედა 120 სმ-ის მონაკვეთში მეორე წელს, თუ ღეროები არ გაისხლა ნიადაგის დონეზე და არ განიცადა ზამთარში დაზიანება. თუმცა, ზაფხულის მოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირებს შემოდგომაზე მოსავლიანობას.

ამიტომ, თუ სასურველია ზაფხულის მოსავალი, რეკომენდებულია ორწლიან ტოტებზე მსხმოიარე სახეობის დარგვა, რომელიც ზაფხულში გაცილებით მაღალმოსავლიანია, ვიდრე მიმდინარე წლის ნაზარდზე მსხმოიარე ჯიშებისა, რომელიც გასხლულია ზაფხულის მოსავლისთვის.

გასხვლა უნდა ჩატარდეს მჭრელი სეკატორით ან მოჭრისას უნდა გაკეთდეს გლუვი, სუფთა მონაჭერი.

გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში.

საკანონმდებლო ინიციატივა

საქართველოში სოცხალი განმოდფიფიცირებული პროდუქციის გამრავლება აიკრძალება



პარლამენტის აბრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიგლა აგულაშვილის განცხადებით, თუკი რომელიმე პროდუქტის თესლი, ნარბი, ჩითილი, ან ბოლქვი შეიცავს ცოცხალ განმოდფიფიცირებულ ორგანიზმებს, ანუ არის განმოდფიფიცირებული, მისი საქართველოში მოყვანა აიკრძალება.

გარდა გამონაკლისისა, კერძოდ კი, გენმოდფიფიცირებული პროდუქტის დათესვა მხოლოდ დაზურულ სივრცეში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის იქნება ნება-

დართული. როგორც დეპუტატი აღნიშნავს, გამრავლების მიზნით გენმოდფიფიცირებული პროდუქტის ქვეყანაში შემოტანა აიკრძალება, თუმცა თუ რომელიმე შემოტანილი კვების პროდუქტი ამ კომპონენტს შეიცავს, მაშინ მას ეტიკეტირება დასჭირდება. დადგენილება სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით უკვე ამოქმედდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელმა პროდუქტის შესახებ მიიღოს ინფორმაცია. დადგენილება ამ ნორმის დარღვევისთვის სანქციების და წესებას გულისხმობს.

ზოგიერთი ბოსტნეული კულტურის მაღალი მოსავლის მიღების ტექნოლოგია



ხახვი

ადამიანის ყოველდღიური კვების რაციონში ძვირფას და მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს. იგი მდიდარია აზოტოვანი ნივთიერებებით, შაქრით, მინერალური მარილებით და ვიტამინებით. როგორც საკმაზ-სანელებელი ბოსტნეული, ის აუმჯობესებს საჭმლის გემოს და ხელს უწყობს მის მონელებას. ხახვი ფართოდ გამოიყენება საკონსერვო მრეწველობაში და მედიცინაში. საქართველოში ბევრი ჯიშის ხახვია გავრცელებული: კახური ბრტყელი, ვანის, სხვილისის, ბორჩალოს, რეკორდი, ლიზი. თესლბრუნვის თვალსაზრისით ხახვი შეიძლება დაითესოს კომბოსტოს, ბაღჩეული კულტურების, პარკოსანი კულტურების, პომიდვრის შემდეგ. იმავე ნაკვეთს, სადაც ადრე ეთესა, იგი შეიძლება 4-5 წლის შემდეგ დაუბრუნდეს.

მოთხოვნები გარემო პირობებისადმი

ხახვის განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა 20-27°C-ია. იგი ზრდისა და განვითარების ფაზაში ტენიანობის მიმართ სხვადასხვა მოთხოვნებს აყენებს. აღმოცენების და ბოლქვის დამსხვილების პროცესში მეტი ტენია საჭირო, ვიდრე ბოლქვის მომწიფების პერიოდში. ხახვის მოყვანა ყოველგვარი ტიპის ნიადაგზე შეიძლება. ნიადაგი უნდა იყოს სარეველებისაგან გასუფთავებული, ნოყიერი და კარგი სტრუქტურის მქონე.

აგროტექნიკა

ხახვის მოყვანა ღია გრუნტში თესლის თესვით, ჩითილის გადარგვით და კვიჭიჭის (ჭილის) დარგვით შეიძლება.

ჩვენი პირობებისათვის ხახვის მოყვანა ადრე გაზაფხულზე თესლის თესვითაა გამართლებული. ნიადაგი შემოდგომაზე უნდა გაინმინდოს ნარჩენებისაგან. ჰა-ზე საჭიროა 50 ტონა გადამწვარი ნაკელის, - 60 კგ. K კალიუმის, 90 კგ. ფოსფორის შეტანა და 26-28 სმ. სიღრმეზე მოხვნა. მომზადებული ნიადაგი ადრე გაზაფხულზე იფარცხება და დათესვამდე თათებიანი კულტივატორით 8-10 სმ. სიღრმეზე და ჰექტარზე 45-60 კგ. აზოტი ჩაკეთდება. დიდ ფართობზე ხახვი სათესი მანქანით 60-სმ-ზე დაცილებულ ზოლებზე ითესება. ზოლში მწკრივებს შორის დასაშვებია მანძილი 25 სმ-ია, ფართო მწკრივად თესვისას - 45 სმ. ნათესი საგორავით უნდა მოიტკეპნოს. თესვის წინ თესლი ფესვის ყელის სიღამპლის და ობის სანინალმდეგოდ 65% „ფენითურამით“ (კილოგრამ თესლზე 3 გრ-ია საჭირო) ინამლება. ნათესს სჭირდება საგულ-დაგულოდ გამარგვლა და მწკრივთა შორის ნიადაგის გაფხვიერება, ასევე აუცილებელია ხახვის ძირების გარშემო ნიადაგის 2-3-ჯერ გაფხვიერება. კარგი ხარისხის ბოლქვების მისაღებად პირველად საჭიროა ნათესის 5-6 სმ-ზე გამეჩხრება, მეორედ, 25-30 დღის შემდეგ, მცენარეების ერთმანეთისაგან 8-10 სმ. გამეჩხრება. გამონამეჩხრი გამოიყენება მწვანილად. ნათესი 8-10-ჯერ უნდა მოიწყას. მინერალური სასუქების დოზის ერთი მეოთხედი ნათესში გამოსაკვებად უნდა შევიდეს 5-6 ფოთლის ფაზაში.

მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა

ავადმყოფობების: ჭრაქი, ბოლქვის ყელის სიღამპლე, ფუზარიოზული ლპობა, ჟანგა, გუდაფშუტა, ხახვის მოზაიკა, ბაქტერიოზი-სანინალმდეგოდ შემდეგი ფუნგიციდები გამოიყენება: ბორდოული სითხე 6-8ლ /ჰა-ზე. ვეგეტაციის პერიოდში შესხურება ხდება 1%-იანი ხსნარით სამჯერ 15 დღის შუალედით. „იუნომილი“ - 2.5 ლ/ჰა-ზე. შესხურება ხორციელდება ვეგეტაციის პერიოდში 0.6%-იანი ხსნარით 3-ჯერ 20 დღის შუალედით. სპილენ-

ძის ქლორჟანგი-2,4ლ/ჰა-ზე შესხურება იუნომილის მსგავსად. ნიადაგის მავნებლების: მღრღნელების, ხვატარების, მავთულა ჭიების, ღრაჭების, ხახვის ბუზის სანინალმდეგოდ ნიადაგში საჭიროა შევიტანოთ 5 ან 10 %-ანი გრანულირებული „ბაზუდინი“ ან „ველოტონი“ 50კგ/ჰა-ზე. ნამლობები აუცილებლად უნდა შეწყდეს მოსავლის აღებამდე 20 დღით ადრე.

მოსავლის აღება

მოსავლის აღება ხდება მაშინ, როცა მცენარე მოსვენების პერიოდს იწყებს, ე.ი. ბოლქვს უკვდება ფესვთა სისტემა, ცრუ ღერო, ფოთოლი ხმება. აღება აუცილებელია მშრალ ამინდში ხელით. ამოღებული ბოლქვები მთელი დღის განმავლობაში იშლება გასაშრობად ნაკვეთზე. გარეთა მფარავი ქერქი როცა შეახმება, ხახვს ფორჩი უნდა წაეჭრას ცრუ ღეროს ყელზე შევიწროებულ ადგილას, ხოლო ფესვები ძირაკიდან 0,5-1 სმ დაცილებით. ამის შემდეგ შესანახად იშლება ფარულში კარგი ჰაერაციის პირობებში.

ხარჯთაღრიცხვა

1 ჰა-ზე მინდვრის სამუშაოები 650 ლარი, საჭირო მასალები 800 ლარი. სულ 1450 ლარი.

ნიორი

ნიორს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი გამორჩეულია თავისი სამკურნალო თვისებებით. შეიცავს დარიშხანოვან შენაერთებს, ეთერზეთს და გამოიყენება, როგორც ანტიესპტიკური საშუალება. მისი ბოლქვი შეიცავს: წყალს,



აზოტოვან ნივთიერებებს, უჯრედის, ნაცარს, ვიტამინებს. მრავალნიანობის მიუხედავად, ამ კულტურის ბევრი ჯიში არ არის გამოყვანილი. ჩვენში გავრცელებულია ადგილობრივი ჯიში გორული. მისი გარეთა ქერქი მოიხსნება შეფერილობისა, კბილები მსხვილი აქვს, დაახლოებით 7-12 ცალი. ნივრისთვის კარგი წინამორბედი პარკოსანი კულტურები, ბალჩული, საადრეო მარცვლეული.

დამოკიდებულება გარემო პირობებთან. განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 18-24 0C. ყინვაგამძლეა, ხახვთან შედარებით მეტად მოითხოვს ნიადაგობრივ კვებას და განათებას, ტენიანობა კი 85-90%. ნიადაგის გასაანოყიერებლად საჭიროა საქონლის გადამწვარი ნაკელი 3ა-ზე 50-60 ტონა.

აგროტექნიკა

ნაკვეთი იწმინდება ანარჩენებისაგან შემოდგომაზე და იხვნება 25-26 სმ სიღრმეზე. ნივრის მოსავალზე დიდ გავლენას ახდენს დარგვის დრო. შემოდგომაზე დარგული მაღალ მოსავალს იძლევა გაზაფხულთან შედარებით.

დარგვამდე ნიადაგი უნდა დაიდისკოს და დაიფარცხოს. მინერალური სასუქების შეტანის შემდეგ (3ა-ზე საჭიროა: N – 40; P- 30 ; K – 40 კგ.) იჭრება კვლები და ირგვება მწკრივულად ან ზოლურად. მწკრივად რგვის დროს მანძილია 45 სმ, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის 4-6 სმ. ზოლურად რგვის დროს ზოლში თავსდება 2-5 მწკრივი, მწკრივთშორის 12-15 სმ, ზოლებს შორის 50-60 სმ. მწკრივში კბილების დარგვა საჭიროა 6-8 სმ. დაშორებით 4-5 სმ. სიღრმეზე. ნიორი მოითხოვს ვეგეტაციის განმავლობაში 3-4ჯერ თოხნას და გაფხვიერებას, 2-3-ჯერ რწყვას. რწყვა მოსავლის აღებამდე 25 დღით ადრე უნდა შეწყდეს. ნიორი აიღება ფოთლების შეხმობისთანავე და ბოლქვებზე მფარავი აპკისებრი ქერქების გამოჩენისთანავე.

მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა

ნიადაგის მავნებლების: ხვატარების, მავთულა და ცრუმავთულა ჭიების, ღრაჭების, ხახვის ბუზის წინააღმდეგ საჭიროა 5-10% ბაზუდინის ან „ვოლოტონის“ შეტანა 50 კგ/3ა-ზე, ხოლო როცა 10 სმ. სიმაღლისაა ნიორი, საჭიროა 25% „პერპას“ 0,16 ლ/3ა ან 5% „დეციონის“ 0,15 ლ/3ა-ზე 2-ჯერ შესხურება.

ნემატოდების და ოთხფეხა ტკიპების საწინააღმდეგოდ საჭიროა აგრეთვე ნივრის კბილების მოთავსება ჰერმეტიკულად დახურულ საცავში და გოგირდის შებოლება 48 სთ განმავლობაში.

მოსავლის აღება სასურველია მშრალ ამინდში ხელით ფოჩიანად. ფოჩი უნდა იყოს გამხმარი, ცრუ ლერო მორბილებული და მინისკენ დახრილი. გამხმარი ფოჩები იჭრება ბოლქვიდან 3-5 სმ. დაშორებით და თავსდება ფარდულში გასაშრობად. როცა მოსავალი მცირე რაოდენობისაა, უკეთ გაშრობის მიზნით შეიძლება ფოჩების ბოლქვებიანად დანნა 1-1,5 მეტრის სიგრძის გალებად და ხარისხზე დაკიდება.

ხარჯთაღრიცხვა.

13ა-ზე მინდვრის სამუშაოები 750 ლარი, საჭირო მასალები 400 ლარი, სულ 1150 ლარი.

სუფრის ჭარხალი

ადამიანის კვების საქმეში ამ კულტურის მნიშვნელობა დიდია. გამოიყენება როგორც ქორფა ძირები წვნიანი საჭმლის დასამზადებლად, ისე ფოთლები მხალად, აგრეთვე მწილების დასამზადებლად. ჭარხალი შეიცავს ვიტამინების დიდ რაოდენობას და მინერალურ მარილებს. მისი გავრცელებული ჯიშებიდან საუკეთესო ნიშანთვისებებით ხასიათდება „ბორდო 237“ და „გორული ერფრუტის“. ჭარხლისათვის კარგი წინამორბედი კომპოსტო, საადრეო კარტოფილი, პამიდორი, კიტრი, პარკოსნები.

დამოკიდებულება გარემო პირობებთან

ზრდა-განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 20-270C. ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობაა 60-70%. ჭარხალი მოითხოვს ღრმად და კარგად დამუშავებულ, გაფხვიერებულ სტრუქტურულ ნიადაგს. ის დადებითად მოქმედებს მინერალური სასუქებისადმი. რეკომენდებულია მისი შემდეგი დოზები: N – 70-75 კგ, P-50-95 კგ, K – 70-75 კგ. მინერალური სასუქების შეტანა საჭიროა შემოდგომაზე მზრალად ხვნის წინ – მთლიანი დოზის ნახევარი, დანარჩენი თესვის წინ დაფარცხვამდე.

აგროტექნიკა

ნიადაგი შემოდგომაზე იხვნება მზრალად და გაზაფხულზე თესვამდე



დე სამუშაოები ტარდება სტაფილოს მსგავსად. თესვა ხდება მწკრივად, მწკრივების ერთმანეთისაგან 50 სმ. დაშორებით 4-5 სმ. სიღრმეზე თანმიყოლებული მორწყვით. ჭარხლის მოვლა გულისხმობს 3-4 ჯერ რწყვას, 2-3 ჯერ ნიადაგის გაფხვიერებას, 1-2 ნამდვილი ფოთლის ფაზაში გამეჩხრება-დანორმებას მცენარეთა შორის 3-5 სმ. მანძილით, მეორე გამეჩხრებას 50-60 დღის შემდეგ მცენარეთა შორის 8-12 სმ. მანძილით. სასურველია 1-2 დამატებითი კვების ჩატარება გამეჩხრების დროს ნალარებში 6-8 სმ. სიღრმეზე მწკრივად 8-10 სმ. დაშორებით სასუქის შეტანა. შემდეგ აუცილებელია ნალარების გასწორება.

მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა

ჭარხლის დაავადებების: პერონოს-პეროზი, ჰომოზი, ჟანგა, ბაქტერიული ლაქიანობა, მურა სიღამპლე და მავნებლების: ჭარხლის ბუერი, ბაღლინჯო, რწყილები, ცხვირგრძლეების საწინააღმდეგოდ საჭიროა ძირხვენების დამუშავება 45%-ანი „ტექტოს“ სუსპენზიით შენახვამდე. 30 მლ. პრეპარატი იხსნება 4 ლიტრ წყალში და ესხურება 1 ტონა ძირხვენს, ხოლო თესლი მუშავდება 80%-ანი ტმოდ. 1 ტონა თესლზე საჭიროა 15 ლიტრი სუსპენზია. მახრების წინააღმდეგ კი გამოიყენება თუთიის ფოსფიდზე დამზადებული მისატყუებელი მასალა. სარეველების წინააღმდეგ ჰერბიციდი „ტილამი“ 76,4%-ანი 3-4,5 კგ/3ა-ზე, შესხურება უნდა მოხდეს თესვის შემდეგ მცენარის აღმოცენებამდე ნიადაგში ჩაკეთებით. აგრეთვე შეიძლება პრეპარატ „პირამინის“ გამოყენება თესვამდე ან აღმოცენებამდე 4,4-4,8 კგ/3ა-ზე.

მოსავლის აღება

ვინაიდან ჭარხლის ძირი ნიადაგიდან წამოწეულია, აღება უნდა მოხდეს ხელით შემოდგომაზე მცირე ყინვების დაწყებამდე. შემრობის შემდეგ ფოჩი უნდა ნაიჭრას ძირიდან 1-2 სმ-

ზე და მოთავსდეს სანყოფიში ან შეიძლება იმ დღესვე ორმოში ან მიწის ზედაპირულ გროვებში შენახვა.

ხარჯთაღრიცხვა

ჰა-ზე მინდვრის სამუშაოები 620 ლარი, საჭირო მასალები 400 ლარი, სულ 1020 ლარი.

სტაფილო

ძირხვეწებს შორის სტაფილო კვებითი ღირებულების მიხედვით პირველ ადგილზეა. შეიცავს მშრალ ნივთიერებას, ნაცარს, ნახშირწყალს, ვიტამინებს. გამოიყენება ახალი, მოხარშული და დაკონსერვებული. მისი მოყვანა თითქმის ყველა ზონაშია მოსახერხებელი. საქართველოში გავრცელებულია ჯიში გორული ნანტის. სტაფილოსათვის საუკეთესო წინამორბედეა ხახვი, პომიდორი, კიტრი, კომბოსტო.

დამოკიდებულება გარემო პირობებთან

აღმოცენების და ზრდა-განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 16-18°C, განათებისადმი დიდ მოთხოვნილებას არ იჩენს, მაგრამ სინათლის უკმარისობა იწვევს მცენარეების აწონვას და მოსავლის შემცირებას. ტენის მიმართ ზომიერად მომთხოვნია. ნიადაგის ტენიანობა საერთო ტენტევადობის 60%-ის ფარგლებში ხელშემწყობ გარემოებად ითვლება. სტაფილოსათვის საჭიროა ღრმად დამუშავებული, სარეველა ბალახებისაგან განმწმენილი, ფხვიერსტრუქტურისანი ნიადაგი.

აგროტექნიკა

ნიადაგის დამუშავება იწყება მზრალად ხვნით 22-25 სმ-ზე ანარჩენებისაგან ნაკვეთის განმწმენის შემდეგ. თუ წინა წელს ნაკვეთი არ იყო ორგანული სასუქით გაპატივებული, მაშინ უნდა შევიტანოთ ჰა-ზე 30-40 ტონა, ხოლო თუ შეტანილი იყო, საკმარისია მინერალური სასუქების შეტანა შემდეგი დოზით: N – 50-60კგ, P – 60კგ, K – 90კგ. მზრალი ადრე გაზაფხულზე იფარცხება, თათებიანი კულტივატორით 8-10 სმ-ზე ტარდება კულტივაცია და ითესება ზოლებად, ზოლში 5 მწკრივით. ამ დროს მანძილი ზოლებს შორის 50 სმ-ია, ხოლო მწკრივებს შორის 20-25 სმ. თესლი რომ კარგად აღმოცენდეს და ნიადაგს ქერქი არ გაუჩნდეს, თესლში ერევა გრანული-

რებული სუპერფოსფატი ან მშრალი გაცრილი სილა(ერთ ნილზე ორი ნილი შესარევი მასალა). თესლის ჩათესვა ხდება 3 სმ სიღრმეზე თანმიყოლებული მორწყვით. ვეგეტაციის პერიოდში უნდა ჩატარდეს 3-4 მორწყვა, 2-3 ჯერ თოხნა-გაფხვიერება, გამოხშირვა-გამეჩხრება ისე, რომ მცენარეთა შორის დარჩეს 4-6 სმ მანძილი.

მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა

ნიადაგის მავნებლების წინააღმდეგ (ხვატარები, მღრღნელები, მავთულა ჭიები) საჭიროა შევიტანოთ 10% „ვოლოტონი“ 50კგ/ჰა-ზე, ხოლო დაავადებების: ფომოზის, თეთრი და ნაცრისფერი სივამპლის დროს, გამოიყენება 0,5% სპილენძის ქლორფანგის და 25% შერპას 0,4ლ/ჰა-ზე 2-ჯერადი



შესხურება. სარეველების წინააღმდეგ გამოიყენება შემდეგი პერბიციდები: „დოზანექსი“ 3,8-7,5კგ/ჰა-ზე უნდა შესხურდეს კულტურის აღმოცენებამდე ან ერთი-ორი ნამდვილი ფოთლის ფაზაში ან 12,5% „ფუზალიდ-სუპერი“ 2,0-4,0 ლ/ჰა-ზე. შესხურება ხდება მაშინ, როცა სარეველები 10-25 სმ სიმაღლისაა ან 9% ფურორე ან 7,5% „ფურორე-სუპერი“ 1,0-2,0 ლ/ჰა-ზე. შესხურება ხდება მაშინ, როცა კულტურა ფოთლის ფაზიდან ბარცყობის ფაზამდეა.

მოსავლის აღება

ხდება შემოდგომაზე სიცივეების დაწყებისთანავე ხელით ან სპეციალური ასალები მანქანით. მოთხრის შემდეგ საჭიროა ფოჩის მოჭრა ძირხვენის თავიდან 2-3 სმ ზევით და გაშრობა, შემდეგ ფარდულში შენახვა, რომ ძირხვენა არ დაჭკნეს.

ხარჯთაღრიცხვა

1 ჰა-ზე მინდვრის სამუშაოები 620 ლარი, საჭირო მასალები 400 ლარი, სულ 1020 ლარი.

ოხრახუში

ოხრახუში ფართოდ გავრცელებული არომატული ბოსტნეულია. მისი ფოთლები და ძირხვენა გამოიყენება საქმელად, მწვანილად, მწნილების, სალატების, თევზის და ხორციანი კერძების საკმაზად. სურნელოვანი სუნი გამოწვეულია მასში ოხრახუშის ეთერზეთის არსებობით. ფოთლები მდიდარია A და C ვიტამინებით. მისი ჯიშებიდან აღსანიშნავია „ტყაჩირული ფოთლოვანი“.

დამოკიდებულება გარემო პირობებთან

განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 16-17°C. მაღალი ტემპერატურის დროს ტენის ნაკლებობა ოხრახუში იწვევს ეთერზეთის მატებას და იზრდება არომატულობა, უმჯობესდება ხარისხი, თუმცა მოსავალი მცირდება. ტენის ნაკლებობის ან სიჭარბის მიმართ ძალიან მგრძობიარეა. მოითხოვს განათებას მაქსიმალური ინტენსივობით. ნიადაგი ოხრახუშისათვის უნდა იყოს ღრმად დამუშავებული, სარეველებისაგან სუფთა, ფხვიერი, ნაკელით კარგად განოყიერებული და კარგი წყალგამტარი.

აგროტექნიკა

თესლის სინვრილის გამო ოხრახუში ხასიათდება გვიანი აღმოცენებით, რის გამოც ადრე ითესება-შემოდგომიდან დაწყებული მარტის ბოლომდე. დათესვა შეიძლება სწორ ზედაპირზე, კვლებზე და ბაზოებზე.

დასათესად ნიადაგის დამუშავება იწყება მზრალად ხვნით 25-სმ-ზე. გასანოყიერებლად საჭიროა ხვნამდე 1 ჰა-ზე 40-50 ტონა საქონლის გადამწვარი ნაკელის შეტანა, ხოლო თუ ნაკელი წინა წელს არის შეტანილი, მაშინ შეიძლება მინერალური სასუქების შემდეგი დოზით შეტანა: N – 60კგ,



PP – 60კგ, K – 90კგ. მზრალი ადრე გაზაფხულზე იფარცხება და 8-10 სმ-ზე ტარდება კულტივაცია, ითესება ზოლებრივად ხუთი მწკრივით, ზოლების

45-50 სმ, ხოლო მწკრივების 20-25 სმ, დაშორებით. ჩათესვის სიღრმე 4-5 სმ, თანმიყოლებული მორწყვით, მთელ სავეგეტაციო პერიოდში უნდა ჩატარდეს 2-3-ჯერ მორწყვა, 3 თონა – გაფხვიერება, გამეჩხრება მცენარეთა შორის 4-6 სმ. მანძილზე.

მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა. ოხრახუშის ნათესებში ხშირია ერთწლიანი და მრავალწლიანი სარეველები. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენება ჰერბიციდი „გეზაგარდი“ 3-5 ლ/ჰა-ზე. შესხურება ხდება კულტურის აღმოცენებამდე 2-3 დღით ადრე. თესლის შესანამლად გამოიყენება ფუნგიციდი **ტმოდ** 4-6გრ. 1 კგ-ზე. ეს პრეპარატი ებრძვის თეთრ და ნაცრისფერ სიდამპლეს, ბაქტერიოზს, ფიტოფტორიოზს, ფომოზს, ქეცს. თესლის შენამვლა ხდება ერთხელ შენჯღრევით მიწის ქილაში ან პოლიეთილენის პარკში.

მოსავლის აღება

განვითარების მიხედვით წლის განმავლობაში ოხრახუში რამდენჯერმე იკრიფება, იკვრება კონებად და იგზავნება მომხმარებელამდე.

ხარჯთაღრიცხვა

1 ჰა-ზე მიწდვრის სამუშაოები 450 ლარი, საჭირო მასალები 300 ლარი, სულ 750 ლარი.

ცერეცო

კამისაგან განსხვავებით ცერეცო ერთწლიანი სურნელოვანი ბოსტნეულია. ის გამოიყენება საჭმელების შესაკმაზად, მწვანილად, მოზრდილი მცენარეები კი გამოიყენება მწნილების დასამზადებლად. ცერეცო შეიცავს წყალს, აზოტოვან ნივთიერებებს, ნახშირწყლებს და ვიტამინებს. ეს ყველაფერი განაპირობებს ცერეცოს მაღალ კვებით ღირებულებას. ცერეცოს ფართოდ გავრცელებული ჯიშია სოხუმის.

დამოკიდებულება გარემო პირობებთან

ცერეცო სიცივის ამტანი ყინვაგამძლე მცენარეა. ოპტიმალური ტემპერატურა განვითარებისათვის 16-17°C. განათების ინტენსივობის მიმართ ცერეცო ძალიან მომთხოვნიია, ხოლო ტენიანობის მიმართ მოთხოვნილება მცირეა. აგრეთვე ის მოითხოვს ჰაერის შემცირებულ შეფარდებით ტენიანობას 60-70%-ის ფარგლებში.

აგროტექნიკა

თუ გვინდა, რომ მუდამ ქორფა ცერეცო გვეკონდეს, წლის განმავლობაში თესვა რამდენჯერმე უნდა განმეორდეს 15-20 დღის ინტერვალით.



უკეთესია მისი თესვა ზამთრის პირზე, მწკრივად, ზოლებრივად, მწკრივთა შორის 12-14 სმ, ზოლებს შორის 50 სმ. ჩათესვის სიღრმე 2-3 სმ. დიდ მოთხოვნებს სასუქების მიმართ მინცდამინც არ ავლენს, მაგრამ სასურველია ჰა-ზე შევიტანოთ ამონიუმის გვარჯილა 1,5-2 ცენტნერი, სუპერფოსფატი-4 ცენტნერი, კალიუმის მარილი 1,5-2 ცენტნერი. მოვლითი სამუშაოებიდან საჭიროა სარეველების და ნიადაგის ქერქის გაჩენის სანაღმდეგოდ 2-3 ჯერ გაფხვიერება, საჭიროების მიხედვით მორწყვა და 2-ჯერ გამოსშირვა-დანორმება 5-7 სმ-ის მანძილზე.

მოსავლის აღება

მოსავალი აღება დათესვიდან 40-50 დღის შემდეგ, როდესაც მცენარეები მიაღწევენ 10 სმ. სიმაღლეს და განვითარებენ 4-8 ფოთოლს. აღება ხდება მთლიანად ან ფოთლების მოკრევით, იკვრება კონებად და იგზავნება დანიშნულების ადგილზე, ხოლო მწნილისათვის აღება ხდება დაყვავილების შემდეგ, დაახლოებით დათესვიდან 90 დღის მერე.

ხარჯთაღრიცხვა

1 ჰა-ზე მიწდვრის სამუშაოები 450 ლარი, საჭირო მასალები 300 ლარი, სულ 750 ლარი.

ძინძი

ეთერზეთოვანი კულტურებიდან საქართველოში თითქმის ყველგან ფართოდაა გავრცელებული ქინძი. ის გამოიყენება, როგორც სამკურნალო მცენარე და სურნელოვანი ბოსტნეული საჭმლის საკმაზად და მცირე რაოდენობით მწნილადაც. მისი ჯი-

შებიდან ფართო გავრცელება ჰპოვა აფხაზეთის და ამიერკავკასიის ჯიშებმა.

დამოკიდებულება გარემო პირობებთან

სიცივის ამტანი ყინვაგამძლე მცენარეა. 4-5°C ყინვას იტანს დაუზიანებლად. განათების და ტენის მიმართ ზომიერად მომთხოვნიია. განსაკუთრებით კარგად ხარობს კარბონატულ ნიადაგებზე.

აგროტექნიკა

ქინძისათვის ნიადაგის მომზადება იგივეა, როგორც ოხრახუშისათვის. წლის განმავლობაში რამდენჯერმე ითესება გაზაფხულზე და შემოდგომაზე ნაკელით გაპატივებულ ფხვიერ, სარეველებისაგან სუფთა მსუბუქ ნიადაგებზე. დიდ ფართობზე თესვა ტარდება მწკრივად-ზოლებრივად. ზოლში 5-10 მწკრივია, მწკრივებს შორის მანძილი 15-20 სმ-ია, ზოლებს შორის კი – 50 სმ, ჩათესვის სიღრმე 1-2 სმ. ქინძის მოვლა გამოიხატება სარეველების მოცილებაში. ამისათვის გამოიყენება ჰერბიციდი „გეზაგარდი“ 3-5 ლ/ჰა-ზე კულტურის აღმოცენებამდე 2-3 დღით ადრე 1-ჯერ შესასხურებლად. ნიადაგი აუცილებელია გაფხვიერდეს 2-3 ჯერ, გამოიხშიროს-და-



ნორმდეს 2-ჯერ მცენარეების ერთმანეთისაგან 6-8 სმ დაშორებით.

მოსავლის აღება

მოსავალი აღება მაშინ, როცა მცენარეები განვითარებენ 4-5 ნამდვილ ფოთოლს, იჭრება ძირზე ან იკრიფება მარტო ფოთოლი, იკვრება პატარა კონებად და იგზავნება დანიშნულებისამებრ.

ხარჯთაღრიცხვა

1 ჰა-ზე მიწდვრის სამუშაოები 450 ლარი, საჭიროა მასალები 300 ლარი, სულ 750 ლარი.

ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის აბრუნებსები



საქართველოს ტერიტორია ბუნებრივი პირობების და ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის მიხედვით დაყოფილია ზონებად და ქვეზონებად, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში.

დასავლეთ საქართველოში გამოყოფილია მეზოსტენოზის სამი ზონა:

- 1 – დაბლობი-ბარის სუბტროპიკული, თბილი.
- 2 – მთისწინა, ზომიერად თბილი.
- 3 – მაღალმთიანი, ცივი.

პირველი ზონა იყოფა სამ ქვეზონად, ხოლო მე-2 და მე-3 ზონა ორ ქვეზონად. აღმოსავლეთ საქართველოშიც გამოყოფილია სამი ზონა:

- 1 – ბარის, მშრალი სუბტროპიკული.
- 2 – მთისწინა, ზომიერად თბილი, მშრალი.
- 3 – მაღალმთიანი, ცივი.

აღმოსავლეთ საქართველოს სამივე ზონა იყოფა ორ-ორ ქვეზონად. ცხრილებში კარგად ჩანს ზონების და ქვეზონების მიხედვით ბოსტნეულის თესვარგვის და მოსავლის აღების კალენდარული ვადები. მაგ.: აღმოსავლეთ საქართველოს 1 ზონის 1 და მე-2 ქვეზონაში, ზღვის დონიდან 200-500 მეტრზე, კომბოსტოს ადრეული თესვა დასაშვებია 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე, დარგვა 15 მარტიდან 25 მარტამდე, მოსავლის აღება 1 ივნისიდან 20 ივნისამდე.

ვფიქრობ, მეტად საჭირო და დროულია ამ მასალების გაცნობა ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანით დაინტერესებულთათვის.

ბოსტნეული კულტურების თესვა-რგვის და მოსავლის აღების ვადები აღმოსავლეთ საქართველოში I და II ზონა. 200-1000 მეტრი ზღვის დონიდან

№	კულტურა		I ზონა. I და II ქვეზონა ზღვის დონიდან 200-500 მ. შიდა და გარე კახეთის დაბლობი, გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი			II ზონა . I და II ქვეზონა ზღვის დონიდან 500-1000 მ. მცხეთა, კასპი, გორი, ხაშური, ქარელი, ბორჯომი, სამხრეთ ოსეთის და მესხეთის დაბლობები		
			თესვა	რგვა	მოსავლის აღება	თესვა	რგვა	მოსავლის აღება
1	კომბოსტოს ადრეული თესვა		1/II-20/II	15/III-25/III	1/VI-20/VI	15/II-25/II	30/III-20/IV	1/VI-10/VIII
2	საშუალო და საგვიანო კომბოსტო		1/VII-10/VII	1/VIII-10/VIII	10/XI-30/XI	1/VI-15/VI	5/VII-15/VIII	20/X-10/XI
3	ყვავილოვანი კომბოსტო		15/III-1/IV	25/IV-15/V	25/VI-10/VII	25/III-10/IV	1/V-10/V	1/VII-20/VIII
4	პამიდორი საჩითილედ კვალსათურები, წინაკა		15/II-15/III	20/IV-10/V	25/VI-1/XI	15/III-20/III	15/V-25/V	20/VI-1/XI
5	გაზაფხულზე კიტრის ღია გრუნტში თესვა		10/III-20/III		20/V-1/VIII	20/IV-30/IV		1/VII-20/X
6	ხახვის თესვა	გაზაფხულზე	20/II-20/III		20/VIII-15/IX	10/II-20/III		10/VIII-10/IX
		შემოდგომით	1/IX-10/X		10/VII-10/VIII	1/X-15/XI		
7	ნიორი		20/II-20/III	25/IX-10/X	15/VI-1/VII		1/II-1/III	1/VII-20/VII
8	პრასი		15/III-1/IV		1/V-1/XII	20/III-25/IV		20/VI-1/X
9	სუფრის ქარხალი		20/II-20/III		1/VIII-1/XI	10/III-10/IV		15/IX-15/X
10	სტაფილო	გაზაფხულზე	1/IV-30/VI		1/V-1/VII	25/V-30/VI		10/VII-15/VIII
		შემოდგომით	20/II-20/III		1/X-20/VIII	1/III-1/IV		20/X-1/XI
11	ობრახუმი, ნიახური		1/II-10/II		1/VI-1/XI	15/III-1/IV		1/VI-1/XI
12	ბარდა, გაზაფხულზე თესვა		1/III-10/III		10/V-15/VII	15/III-25/III		15/VI-30/VI
13	ცერცვი		1/VIII-15/X		15/V-20/VI	20/III-30/III		25/V-1/VII
14	ისპანახი, სალათა, ქინძი, წინმატი		20/II-1/IV		20/X-1/IV	10/III-10/IV		15/V-10/VI
					15/IV-20/V	1/IV-15/V		15/V-15/VI

**გოსტნეული კულტურების თესვა-რგვის და მოსავლის აღების ვადები
აღმოსავლეთ საქართველოს მეგობრობის III ზონა 1200-2200 მეტრი ზღვის დონიდან**

№	კულტურა	III ზონა I ქვეზონა – სამცხე ჯავახეთი, სამხრეთ კავკასიონი, ჯავახეთი, ჩრდ. საქართველოს მთის კალთები 1200-1700 მ. ზღვის დონიდან			III ზონა . II-ქვეზონა – 1700-2200 მეტრი ზღვის დონიდან		
		თესვა	რგვა	მოსავლის აღება	თესვა	რგვა	მოსავლის აღება
1	საადრეო კომბოსტო	1/III-10/III	1/V-25/V	30/VII-25/VIII	25/III-10/IV	15/V-1/VI	15/VIII-1/X
2	საშუალო და საგვიანო კომბოსტო	10/IV-5/V	1/VI-10/VI	1/IX-1/XI	10/V-20/V	15/VI-25/VI	15/IX-25/IX
3	კალნაბი – საადრეო კვალსათბურში საჩითილედ (ყვავილ. კომბოსტო)	-	-	-	25/IV-5/V	1/VI-15/VI	1/X-10/XI
4	პამიდორი საჩითილედ კვალსათბურებში	1/IV-20/IV	25/V-1/VI	1/VIII-15/IX	-	-	-
5	ლობიო	1/V-20/V	-	1/VIII-20/IX	20/V-10/VI	-	10/VIII-20/IX
6	კიტრი	10/V-10/VI	-	15/VIII-1/IX	-	-	-
7	ხახვი	1/IV-20/IV	-	15/VIII-20/IX	10/V-20/V	-	1/VIII-10/IX
8	პრასი	15/IV-10/V	-	10/VI-25/IX	10/V-20/V	-	1/VIII-20/IX
9	სუფრის ჭარხალი	15/IV-10/V	-	15/IX-1/X	20/IV-10/V	-	1/X-20/X
10	სტაფილო	10/IV-10/V	-	15/IX-1/X	20/IV-10/V	-	1/X-20/X
11	ობრახუმი, ნიახური	20/IV-10/V	-	15/VIII-15/IX	1/V-20/V	-	20/VIII-20/IX
12	ბარდა და ცერცვი	20/IV-10/V	-	1/VIII-1/IX	1/V-20/V	-	10/VIII-1/IX
13	ნიორი		1/IX-1/X	10/VIII-20/IX		1/V-10/V	1/VIII-15/VIII
14	ისპანახი, სალათა, ქინძი, წინმატი	10/IV-15/V	-	15/V-10/VI	1/V-15/V	-	10/VI-1/VIII

**გოსტნეული კულტურების თესვა-რგვის და მოსავლის აღების ვადები
დასავლეთ საქართველოს I და II ზონა. 250-1000 მეტრი ზღვის დონიდან**

№	კულტურა	I ზონა. I, II და III ქვეზონა ზღვის დონიდან 250 მ. აჭარის, გურიის, სამეგრელოს დაბლობი, აფხაზეთის ჩრდილო ნაწილი, -გურლიფშის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის რაიონები, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, ვანის რაიონები.			II ზონა. I და II ქვეზონა ზღვის დონიდან 250-1000 მ. ზემო იმერეთი და სხვა რაიონების მთისწინა ნაწილი, რაჭა ლეჩხუმის რაიონების დაბლობი.		
		თესვა	რგვა	მოსავლის აღება	თესვა	რგვა	მოსავლის აღება
1	კომბოსტოს ადრეული თესვა	1/IX-1/X	1/XI-30/XII	20/IV-30/VI	10/III-10/IV	25/IV-15/V	1/VII-1/VIII
2	საშუალო და საგვიანო კომბოსტო	25/VI-15/VII	1/VIII-20/VIII	20/XI-25/XI	1/IV-10/IV	15/V-25/VI	1/IX-20/XI
3	ყვავილოვანი კომბოსტო	15/VI-10/VII	15/VIII-25/VIII	25/X-1/XI	1/III-20/III	5/IV-25/IV	15/VI-1/VIII
4	პამიდორი საჩითილედ კვალსათბურები, წინაკა	15/II-15/III	15/IV-10/V	1/VIII	1/III-20/III	1/V-15/V	10/VII-10/IX
5	გაზაფხულზე კიტრის ღია გრუნტში თესვა	10/III-20/III 10/IV-20/V		25/V-10/VIII 20/VI-20/VIII	15/III-25/III 15/IV-1/V		15/VI-1/IX 10/VII-10/IX
6	ხახვის თესვა	გაზაფხულზე	10/II-10/III		10/II-20/III		1/VIII-1/IX
		შემოდგომით	15/IX-1/XI			1/VI-1/VIII	
7	ნიორი		1/VIII-1/X	10/VI-10/VII		1/VIII-1/XI	25/VI-15/VII
8	პრასი	20/II-20/III	1/IV-1/V	10/VI-30/XII	1/II-30/III	15/IV-5/V	10/IX-30/II
9	სუფრის ჭარხალი	20/II-20/III		10/VI-10/X	10/III-10/IV		10/IX-25/X
10	სტაფილო	გაზაფხულზე	1/II-10/III		15/VI-1/XI	20/III-10/IX	15/IX-10/X
		შემოდგომით	10/VI-25/VII		15/IX-10/X	20/VI-20/VII	1/X-30/X
11	ობრახუმი, ნიახური	1/II-10/III		1/V-1/XII	15/II-15/III		1/VI-30/XII
12	ბარდა, გაზაფხულზე თესვა	1/II-10/III		10/V-15/VII	15/III-25/III		15/VI-10/VII
13	ცერცვი	1/II-10/III		15/V-20/VI	20/III-30/III		25/V-1/VII
14	ისპანახი, სალათა, ქინძი, წინმატი	1/VII-15/X		20/XI-	10/III-10/IV		15/V-1/VIII
		10/II-25/III		10/IV-15/V	25/III-10/V		15/V-10/VI

ბოსტნეული კულტურების თესვა-რგვის და მოსავლის აღების ვადები დასავლეთ საქართველოს მიზოსტნეობის III ზონა 1000-2100 მეტრი ზღვის დონიდან

№	კულტურა	III ზონა . I ქვეზონა – სვანეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის მთის სოფლები 1000-1500 მ. ზღვის დონიდან			III ზონა. II ქვეზონა – 1500-2100 მეტრი ზღვის დონიდან		
		თესვა	რგვა	მოსავლის აღება	თესვა	რგვა	მოსავლის აღება
1	კომბოსტო ადრეული გაზ. თესვა	30/IV-10/V	2/VI-20/VI	10/IX-30/IX	-	-	-
2	საშუალო და საგვიანო კომბოსტო	1/IV-15/IV	5/V-5/VI	1/IX-15/X	10/IV-20/IV	20/V-1/VI	15/X-25/IX
3	ყვავილოვანი კომბოსტო, საგაზაფხულო თესვა	20/III-30/III	20/V-10/VI	1/VIII-1/IX	1/IV-15/IV	20/V-1/VI	20/VII-20/VIII
4	პამიდორი საჩითილედ კვლასათურში	1/IV-10/IV	20/V-10/VI	10/VIII-25/IX	-	-	-
5	კიტრის გრუნტში თესვა გაზაფხ.-ზე	5/V-10/V	-	1/VIII-10/IX	-	-	-
6	ხახვის გაზაფხულზე თესვა	15/IV-10/V	-	20/VIII-1/IX	1/V-15/V	-	1/VIII-1/IX
7	ნიორი	-	15/IX-10/X	20/VII-10/VII	-	10/IV-5/V -	15/VIII-1/IX
8	პრასი	30/III-1/V	10/V-1/VI	10/IX-25/X	1/IV-1/V	10/V-30/V	1/VIII-20/IX
9	სუფრის ქარხალი	1/V-15/V	-	15/IX-1/X	20/V-1/VI	-	20/VIII-1/IX
10	სტაფილო	20/IV-20/V	-	15/IX-1/X	1/V-20/V	-	1/VIII-10/IX
11	ოხრახუმი, ნიახური	10/IV-10/V	-	1/VIII-1/IX	-	-	-
12	ბარდა და ცერცვი	20/IV-10/V	-	30/VIII-10/IX	-	-	-
13	ცერცო	15/V-10/V	-	10/VIII-1/IX	1/V-20/V	-	10/VIII-10/IX
14	ისპანახი, სალათა, ქინძი, წინმატი	20/IV-10/V	-	1/VIII-1/IX	1/V-20/V	-	20/VI-10/VIII

ნათო კახაბაძე,

სმმ დოქტორი, ბოსტნეულ-ბაღიერი კულტურების ნაციონალური კოორდინატორი საქართველოში, შპს „ბიოაგრო-მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის“ მეთესლეობის მიმართულების ხელმძღვანელი

საქართველოს ბაზარზე არსებული სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები - მათი ეფექტურობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება

საქართველოს ხელისუფლების აბრარულმა პოლიტიკამ მიზნის მისაღწერა ფერმერები და გლეხები საბრძოლველად გააძლიერა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია და ყოველ ფენის ნაბიჯზე იბრძობა. შესაბამისად, გააძლიერდა გიზნის, რომელმაც სოფლის მეურნეობა უნდა დააბრუნებინოს სასუქებით და მცენარეთა დაცვის საშუალებებით. ამ უპირველეს პრობლემად დგება საკითხი ქართულ ბაზარზე არსებული საშუალებების ეფექტურობა და ეკოლოგიური უსაფრთხოებაზე მიგვაჩინა, რომ მომხმარებელი ყოველთვის უნდა იყოს ფრთხილი თავისი ჯანმრთელობის დასაცავად და ქვეყნის ბაზარზე მომხმარებელი თაობებისათვის რაც შეიძლება ჯანმრთელ გარემოებაში გადაცემისათვის.

სადღეისოდ ქართულ ბაზარზე გამოიკვეთა რამდენიმე ცნობილი კომპანია: შვეიცარიული – „სინფენტა“, ამერიკული „დიუპონი“ და „დაუ-აგრო“, გერმანული – „ბასფი“ და „ბაიერი“, ასევე ზოგიერთი სხვა ევროპული კომპანია (იტალია, ესპანეთი და

სხვა). ეს კომპანიები აკმაყოფილებენ ბაზრის დაახლოებით ნახევარს. მათი პროდუქციის ხარისხი მაღალია და მოხმარების რეგლამენტის ზუსტი დაცვის შემთხვევაში ეკოლოგიურად ნაკლები საფრთხის შემცველია როგორც ადამიანის ჯანმრთელობის

სათვის, ასევე მთლიანად გარემოსათვის.

ბაზრის დანარჩენ სეგმენტს აბალანსებს ე.წ. „ჯენერიკი“ პროდუქცია ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი, ირანი და სხვა. მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები რომ იყოს, განვმარტავთ სიტყვა „ჯენერიკის“ შინაარსს. დღეს ცნობილია სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოების ტექნოლოგიები და მოქმედი ქიმიური ნივთიერებები და არსებობს შესაბამისი პატენტები. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქტებში დაცულია ძირითად მოქმედ ნივთიერებათა სისუფთავის ხარისხი, ამასთან ერთად გათ-

ვალისწინებულია მოქმედების ეფექტური ტექნოლოგიური მექანიზმები და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. რაც შეეხება „ჯენერიკებს“, ყოველივე ზემოთ აღნიშნული თვისებები ეფექტურობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ ნაკლებადაა დაცული. აქედან გამომდინარე, „ჯენერიკების“, მოხმარების შემთხვევაში გარდა იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აღწევს შედეგს მოსავლიანობის რაოდენობის და ხარისხის მაჩვენებლების მონაცემებით, ქმნის ეკოლოგიურ საფრთხეს – აბინძურებს ს/ს პროდუქციას, ნიადაგს, გრუნტის წყლებს და მთლიანად გარემოს ტოქსიკური ნივთიერებების (პესტიციდების) ნარჩენებით.

რას ვთავაზობთ მომხმარებელს? როგორ დაიცვას თავი უხარისხო, ხშირ შემთხვევაში საშიში და მავნე პროდუქციისაგან? ბაზარზე არსებული ყველა ბიზნესმენი ცდილობს რეკლამა გაუწიოს თავის პროდუქციას, მოიზიდოს მეტი მომხმარებელი და ნახოს დიდი მოგება. ხშირ შემთხვევაში რაც უფრო დაბალხარისხიანია პროდუქტი, მას უფრო მეტი რეკლამირება უკეთდება და კიდევ ერთი, შედარებით იაფია. დაბალი მსყიდ-



ველობითი უნარის მქონე გლეხი გადანყვეტილებას ფასის მიხედვით იღებს, ხოლო დაბალ ეფექტს მხოლოდ წლის ბოლოს ხედავს.

არსებული წესის მიხედვით, ქვეყანაში ახალი პრეპარატის შემოტანისას მისი სახელმწიფო რეგისტრაცია ხდება, რომელსაც ანხორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის და მცენარეთა დაცვის სპეციალური სააგენტო. რეგისტრაციის პროცედურა ითვალისწინებს წინასწარ გამოცდას და სპეციალისტების დასკვნას პროდუქტის ხარისხზე და ეფექტურობაზე. ამ საქმიანობის შე-

სრულებისათვის აუცილებელია მინიმუმ ექსპერტი-სპეციალისტები, შესაბამისი სამსახური (ინსტიტუტი) და საცდელი ფართობები. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში შესაბამისი პროფილის აგრარული ინსტიტუტები და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზები პრაქტიკულად აღარ არსებობს. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, რეგისტრაცია გარკვეულწილად ფორმალურ ხასიათს იღებს. ამრიგად, ბაზარი ამ მხრივ დაუცველია. მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხრიდან სასწრაფო რეაგირება საჭირო.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით მომხმარებელს ვთავაზობთ ისარგებლოს სპეციალური საკონსულტაციო სამსახურების მომსახურებით, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში და ცნობილი ევროპული კომპანიების პროდუქტია აირჩიოს და უფასო კვალიფიციური კონსულტაციები გაიაროს.

ძირითო კახიაშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, შპს „აგროვიტას“
ინოვაციური პროექტების მენეჯერი

ჩვენი სივლიდა

ეროვნული საბანკური - ქართული ვაზის ჯიშები

(მოკლე მიმოხილვა)

მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის ძველსა თუ ახალ ქვეყნებს შორის საქართველოს ადგილობრივ ვაზის ჯიშთა სიმრავლით უდავოდ წამყვანი ადგილი უკავია. ჩვენმა წინაპრებმა ძალზე დიდი შრომა გასწიეს და ბევრი დროც მოანდომეს ქართული ვაზის ჯიშების გენოფონდის შექმნას, რის შედეგადაც დღეს ჩვენ 500-ზე მეტი ვაზის ადგილობრივი და ამასთან უნიკალური ჯიში მოგვეპოვება. ცხადია, ამდენი ვაზის ჯიშის გამოყვანა ერთი და ორი დღის საქმე არ იყო, ამასთან, იგი დარგის ზედმინევენით ცოდნას მოითხოვდა, მაგრამ უტყუარი ფაქტია: ქართული უნიკალური ვაზის ჯიშები საოცარი სიზუსტითაა მორგებული და მისადაგებული საქართველოს კუთხეებს. ამაზე თავად ვაზის ჯიშთა

დასახელებებიც მეტყველებს. ზოგიერთ შემთხვევაში ესა თუ ის ვაზის ჯიში საქართველოს რომელიმე რეგიონის სახელს ატარებს, მაგალითად: ჯავახეთურა, კლარჯული, მესხური, კახური და სხვ. რიგ შემთხვევებში ჯიში შესაძლოა ქალაქისა და სოფლის სახელითაა სახელდებული: ბზვანურა, არაგვისპირული, საირმულა, ხოვლეურა, წნორის თეთრი და სხვ. მაგრამ გვხვდება ისეთებიც, რომლებიც სოფლის ცალკეული უბნების სახელებითაც კი მოიხსენიება. გარდა ამისა, ვაზის ჯიშების სახელები უკავშირდება: ადამიანის გვარსახელებს, ყურძნის დანიშნულებას; მარცვლის შეფერილობას; მტევნისა თუ მარცვლის მოყვანილობასა და ზომას, მოსავლის პერიოდს, ვაზის ნაწილებს, ვაზისა და



მტევნის ბუნებას... თუმცა გვხვდება ისეთებიც, რომელთა დასახელებები ზემოთჩამოთვლილთაგან არც ერთს არ უკავშირდება.



ქართველმა მევენახემ ვაზს თვიდან-ვე ორი დანიშნულება მისცა – საღვინე და სასუფრე. სასუფრე მიმართულების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა ვაზის ადგილობრივ ჯიშთა ასორტიმენტით ნამდვილად არ არის ღარიბი. ჩვენი ქვეყნის მევენახეობის ყოველ რეგიონს გააჩნია თავისი საკუთარი სასუფრე ვაზის არაერთი ჯიში, რომლებიც როგორც ტრანსპორტირების, ისე შენახვის მიმართ გამძლეობით გამოირჩევა. ამგვარი ჯიშები ასევე გამოირჩევა მაღალი გემოვნური თვისებებით, შედარებით დაბალი მჟავანობითა და მაღალშაქრიანობით, ნაკლებზნინანი და ხორციანი რბილობით. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ სასუფრე ვაზის ჯიშების მთავარ სიკეთედ სხვებთან ერთად მაინც ხანგრძლივად შენახვის უნარი ითვლება. ზოგიერთი ვაზის სასუფრე ჯიში პირველი თოვლის მოსვლამდეც კი რჩება ვაზზე და თავისთავად ცხადია, რომ ასეთ დროს ყურძენს ბუნებრივად უნდა გააჩნდეს გამძლეობის უნარი. ამგვარი ვაზის ჯიშები ხშირად სიმწიფის IV – V პერიოდით ხასიათდებიან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში სასუფრე და საღვინე ჯიშებში ერთგვარ გადაფარვასაც ვხვდებით. მაგალითად, ქართლის თეთრყურძინიანი საღვინე ვაზის ჯიში ჩინებული (ჩინური) გამოიყენება როგორც საღვინედ, ისე სასუფრედაც. ასევეა, მაგალითად: რქანითლის, ალადასტურის, გორულას, ცოლიკოურის, კლარჯულისა და სხვათა შემთხვევებშიც.

საინტერესოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და გეოგრაფი - ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოში ბარად მიიჩნევს

ადგილს, სადაც ვაზია კულტივირებული და ხარობს, ხოლო მთად კი ადგილს, სადაც ვაზი ზღვის დონიდან სიმაღლისა და სიცივის გამო ვერ ხარობს. ასერიგად ვახუშტის თქმით, რაც ცალსახად მართებული აზრია, ჩვენში მთისა და ბარის განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად სწორედ ვაზის კულტურა გვევლინება.

საქართველოს ზოგიერთ რეგიონსა თუ ადგილას ვაზი არ ხარობს, როგორცაა, მაგალითად: ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი. ასევე მთიულეთისა და ფშავის დიდი ნაწილი და სხვა ადგილები კახეთში, ქართლში, რაჭაში... მაგრამ ჩამოთვლილი რეგიონები ისე, როგორც მთელი საქართველო, თავიდან ბოლომდე უკავშირდება ვაზისა და ღვინის კულტურას. ამაზე ბევრი ფაქტი თუ ისტორიული დოკუმენტი მეტყველებს. ამაზე იგივე ვახუშტი ბატონიშვილიც საუბრობს ქართლის ცხოვრებაში, სადაც იგი საქართველოს ზოგიერთი მაღალმთიანი ადგილის შესახებ ამბობს, რომ მართალია აქ ვაზი არ ხარობს, მაგრამ აქაურებს ყურძენი თუ ყურძნის ტკბილი ბარიდან ამოაქვთ და ქვევრებში აყენებენ ღვინოსო... ამიტომაც საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არაერთი მარანია შემორჩენილი დღემდე. ეს იმიტომ, რომ ქართველ კაცს, სადაც არ უნდა ეცხოვრა, იგი უღვინოდ არ ცხოვრობდა და ვაზიცა და ღვინოც ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის კულტურის განუყოფელი ნაწილი.

საქართველო არა მხოლოდ კულტურული, არამედ ვაზის ველური ფორმებითაცაა მდიდარი. ჩვენი ქვეყნის ტყეებში დღემდე მრავლად გვხვდება ხეებზე ასული ველური ვაზი (*Vitis silvestris*), საიდანაც, როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, მოსახლეობა ღვინოსაც კი აყენებდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენს ვენახებს სენივით მოედო ე.წ. „უნამლი“ ვაზი (სახეობათაშორისი ჰიბრიდები), რომელთა დასახელებები ვენახის მეპატრონეებმა ხშირად არც კი იციან. და ეს ყველაფერი კი იმის ფონზე ხდება, როდესაც ქართულ ვაზის ჯიშთა სიმრავლე და მრავალფეროვნება პირდაპირ გაოცებას იწვევს. ანდა რა შეიძლება ეწოდოს, მაგალითად, იმას, როდესაც გურიაში ჩვენ გვაქვს ისეთი უნიკალური ვაზის ჯიშები, რომლებიც არათუ მხოლოდ გურიის, არამედ შესაძლოა მსოფლიო ჯიშებად ჩაითვალოს, როგორებიცაა: ჩხავერი,

ალადასტური, საკმიელა... და ამის მიუხედავად ამ მხარეში ნამყვანი ვაზია ყოველად უფარვისი „ადესა“. იგივე შეიძლება ითქვას კახეზე – საფერავისა და რქანითლის კუთხეზზე, სადაც „ვაქირულამ“ და „შანიძემ“ წალეკა ეს მხარე. სხვაგან „დირბულა“, „მოლდავანკა“, „ქინწურა“ და სხვ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ვენახების გასაშენებლად ხშირად უცხოეთიდან შემოაქვთ ფრანგული საღვინე ჯიშები. ჩვენში უკვე არაერთი ვენახია გაშენებული „კაბერნე სოვინიონის“, „მერლოს“, „მარდონესა“ და „პინოს“ ჯიშებიდან, რაც, უნდა აღინიშნოს, რომ დარგის გულშემატკივრებში ირონიულ ღიმილს იწვევს... ცხადია, ამგვარი რამ არავის აუკრძალავს, მაგრამ ის კი ნამდვილად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყველაფერი თვალნათლივით მაგალითისათვის, ჩვენი ქართული ენის ჟარგონებითა და ბარბაროზიმებით დაბინძურებას უფრო ჩამოჰგავს შინაარსობრივად. „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო“... ჩვენს წინაპრებს ასე რომ ეფიქრათ და ემოქმედათ, 500 კი არა, 5 ვაზის ჯიშიც კი არ გვექნებოდა. ჩვენ ჩვენი წინაპრების ღვანლს თავად უნდა მივაგოთ ჯეროვანი პატივი და ყურადღება, თორემ ამას ჩვენს მაგივრად სხვა არ გააეკეთებს. თუკი ვაზის ქართულ ჯიშთაგან არცერთი არ აღმოჩნდა ღვინის დასაყენებლად ვარგისი, მაშინ კი ბატონო, მაგრამ საქმე ამგვარადაა? უცხოური საღვინე ვაზის ჯიშების ადგილი ნამდვილადაა საქართველოს ამპელოგრაფიულ ნაკვეთებში და ეს ცალსახად უდავოა, მაგრამ მათ ჯერჯერობით არაფერი ესაქმებათ საწარმოო ვენახებში, რადგან ჩვენ საამისო არა გვიჭირს რა.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია საქართველოს მევენახეობის ყოველი კუთხის მკვიდრმა საკუთარი ვაზის ჯიშების გამრავლებაზე იზრუნოს. საფერავიცა და რქანითელიც ვაზის უნიკალური ჯიშებია, მაგრამ მათი ადგილი კახეთშია და არა იმერეთში, ისევე, როგორც, მაგალითად ალექსანდროულისა რაჭაში, უსახელოურისა ლეჩხუმში, ანდა ჩინებულისა ქართლში და სხვ.

წარმატებებს ვუსურვებთ მათ, ვინც ჩვენი წინაპრების მიერ ჩვენამდე სისხლის ფასად მოტანილი ქართული ვაზის უნიკალური ჯიშების ფესვებს აფასებს და ახარებს.

გიორგი ბარისაშვილი,
მცხეთა, 2014 წ.

საქართველოს აბრობიოსექტორის განვითარების პროგრამისათვის



საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2013 წლის დასაწყისისთვის რეპროდუქციის მაჩვენებელი 1 662 900 დაავადება, საინფანაც სასუნთქი გზების და სუნთქვის მოხერხებელი სისტემის დაავადებები 800 000-ს აჭარბებს, მონაცემების რიცხვი 67 900, ხოლო 11 900 შედეგი მკვლევარებზეა. ათი წლის წინ ეს მაჩვენებელი 7 000 იყო. ე. ი. ყოველწლიურად საშუალოდ 500 ადამიანი ავადდება ამ უმძიმესი დაავადებით. გამოდის, რომ ამაყვამ დაავადებულთა რიცხვი არის 12400 და ყოველწლიურად თითქმის 2 ადამიანი ავადდება სიმსივნით. იმ ფონზე, როცა აღარაპინ დავობს, რომ კვებას (წყალთან და ჰაერთან ერთად) ღრმის წილი მიუძღვის ამ უბედურებაში, იმედი დაჰყარეთ, რომ ძალიან საბუნებრივ მდგომარეობა გვაქვს. რას აკეთებთ ისინი, ვისაც ამ საშინაოდად შეესაბამება ნამდვილად ევალება და შეუძლია? მართლ დაპირებები და რაღაც „წიაღვლები“ არ კვება, მთავარი საზომი ხომ ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობაა.

საქართველოს პოლიტიკურ პრაქტიკაში შავ ლაქად არის დამკვიდრებული არჩევნების წინ პიარ-კამპანიური პროგრამებით მანიპულირება, რასაც დღემდე ჩვენი ქვეყნისათვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. პროგრამები რომ შედეგიანი იყოს, აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ერის ზნეობას, ანალიტიკურ-პროფესიონალურ აზროვნებას და ავადსახსენებელ გლობალურ პროცესებში ქვეყნის გადარჩენის (შორსმჭვრეტელური) ქრისტიანული საფუძვლების დაცვას და გაძლიერებას.

თავიდანვე პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მსოფლიო პრაქტიკაში მოდად ქცეული ერთმანეთისაგან გადანერვილ-გადმონერვილი ათეისტურ-მოდერნისტული პროგრამები უამრავ ქვეყანას მათ შორის საქართველოს ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ფიზიკური კარასტროფისკენ მიაქანებს, რადგან წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად მავნე ქიმიური და ტექნოლოგიური ზემოქმედების მასშტაბები გეომეტრიული პროგრესით იზრდება.

ამ უბედურებას რომ თავი დავალწიოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო „გეორგიაა“, მინათმომქმედთა ქვეყანაა, პურისა და ღვინის სამშობლოა, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია და ეს ღვთისაგან არის. ამიტომ აგროსექტორის განვითარების გარეშე ქვეყნის ეკონომიკა წარმატებული ფორმით და შინაარსით ნამდვი-

ლად ვერ განვითარდება. ხოლო თვით სოფლის მეურნეობა ბიოაგროსექტორის განვითარების გარეშე განწირულია წარუმატებლობისათვის, რადგან პროდუქციის სიუხვეს ადამიანის ჯანმრთელობა არ მოჰყვება.

სოფლის მეურნეობის განვითარების სწორად წარმართვისათვის აუცილებელია ამ დარგის ათეისტურ-ძალადობრივი წნეხიდან რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ გამოყვანა. ამისათვის განვითარების ისეთი ფორმა უნდა შეირჩეს, რომელიც ახლოს არის ეროვნულ-სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობასთან. ასეთი არის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გავრცელებული შეხედულება, თითქოს ბიოაგრონარმობა არის დაბალმოსავლიანი, ჯდება ძვირი, რთულია მისი დანერგვა და ა. შ. არის სიცრუე. პირიქით, ადგილობრივი და უცხოური (მაგალითად, უკრაინის) გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა გაცილებით მაღალმოსავლიანია და საიმედო, რადგან ამ დროს ადამიანი ღმერთს და ბუნებას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ მათი დახმარებით და ხელშეწყობით აღწევს საუკეთესო შედეგებს.

მხოლოდ ეკოლოგიური აგრონარმობის დროს არის დაცული საიმედოდ ქვეყნის მოსახლეობა გენური ინჟინერიის „მიღწევებისაგან“, მავნე აგრონარმობა ტექნოლოგიებისაგან, გაურკვეველი ჰორმონებისაგან, ათასგვარი ემულგატორებისა და საკვებ-დანამატებისაგან, გაუკუღმართებული ჰიდროპონიკისაგან, სხვა სახის არაბუნებრივი „ნარმოებისაგან“.


განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ პრობლემას არ წარმოადგენს სამიზნე ქვეყნების მართვა სასურსათო პოლიტიკის საშუალებით, უფრო მეტიც, არსებობს ტექნოლოგიები, რომლის საშუალებითაც ადვილად შეუძლიათ მოსახლეობის რიცხოვნობის მართვა და ამის განხორციელება არა მარტო იმპორტირებული საკვებით, არამედ შხამქიმიკატებით და ქიმიური დანამატებითაც კი.

ამქვეყნად იდეალური და აბსოლუტური არაფერია, მაგრამ საკანონმდებლო ბაზის, ბიონარმობის პრინციპებიდან გამომდინარე და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მავნეობასთან შეუთავსებლობის გამო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა გაცილებით პოზიტიურია, ვიდრე სხვა ტიპის წარმოების დროს.

იმისათვის, რომ სასურსათო პრობლემა პირველ რიგში ადამიანის ჯანმრთელობისათვის რეალურად და ხარისხიანად გადაიჭრას, ეკოლოგიური (ბიოლოგიური, ორგანული) სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა იყოს არა ეპიზოდური და არამასშტაბური, არამედ მთელმა დარგმა ორიენტაცია ამ მიმართულებით უნდა აიღოს.

საბედნიეროდ, ბიოაგროსექტორის განვითარებისათვის საქართველოში დღეისათვის გარკვეული საფუძვლები უკვე არსებობს როგორც საკანონმდებლო, ასევე სამეცნიერო-საწარმოო დონეზე. ახლა საჭიროა ამ ბაზისის გაღრმავება და სწორი გზით განვითარება.

უპირველესად აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტთან დაკავშირებული-არსებული ქაოტური სიტუაციის დალაგება. უნდა აიკრძალოს ცრუ ბიომალაზიები, სიტყვების ბიო, ეკო, ორგანული ხმარება სავაჭრო თუ კვების სისტემაში უნდა დარეგულირდეს მხოლოდ კანონით. უნდა გადამოწმდეს, არსებული ეკოლოგიური ორგანიზაციების საქმიანობა



შეესატყვისება თუ არა მათ სახელწოდებებს და საქმიანობას კანონთან მიმართებაში.

რეალურად უნდა განსაჯაროვდეს სახელმწიფოს პოლიტიკა ბიოაგროსექტორის განვითარების მხრივ. დღემდე გაურკვეველია, რას აპირებს მთავრობა ამ მხრივ სინამდვილეში. ასევე უცნობია, არსებული ბიოაგროსექტორის განვითარებაში რა წვლილი მიუძღვის სახელმწიფოს.

უკეთესის კორექტირების მიზნით უნდა გადაიხედოს თვით არსებული ბიომეურნეობების საქმიანობა. ხარვეზების გამოსწორების მიზნით შესაძლებელია სპეციალური ინდივიდუალური ბიოაგროპროგრამები.

უნდა დაიხვეწოს ინსპექტირება-სერთიფიცირების მექანიზმი იმდაგვარად, რომ ყველასათვის ადვილი და ხელმისაწვდომი იყოს. იქ, სადაც ინსპექტირების და სერთიფიცირების ხარჯე-



ბის გამო ყოვნდება განვითარება, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და დაეხმაროს ფინანსების მოძიებაში. საკმარისი არ არის მართო ერთი მასერთიფიცირებელი ორგანოს „კავკასსერტის“ არსებობა, კონკურენციისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა რამდენიმე ორგანიზაცია კიდევ ჩამოყალიბდეს.

სახელმწიფომ ბევრად მეტი უნდა გააკეთოს ბიოსექტორის განვითარებისათვის, ვიდრე ამას აკეთებს კოოპერატივებისათვის, რადგან თუ ეს კოოპერატიული გაერთიანებები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას არ იმუშავებენ, სამომავლოდ გაუჭირდებათ.

უპირველესად სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ბიოსამუშალებების (ბიოსასუქები, ბიოპრეპარატები) წარმოება, უნდა ნაახალისოს ბიოინტელექტუალური განვითარება. სანამ საკუთარი საკმარისად გვექნება, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბიოსამუშალებების იმპორტს და ამავე დროს საზოგადოებასთან ერთად მკაცრად გააკონტროლოს მისი ხარისხი და მიმოქცევა.

მარკეტინგული სისტემის განვითარებისათვის სახელმწიფომ უნდა გამოყოს ტერიტორიული და სამალაზიო ფართები, დაეხმაროს ინტერნეტბაზრის განვითარებას, მოაწყოს საჩვენებელი ბიოაგრობაზრები, ხელი შეუწყოს უცხოეთში ქართული ბიოპროდუქციის პოპულარიზაციას და ა. შ. აგრეთვე სახელმწიფოს ხელშეწყობით აუცილებელია ხელშეკრულებების გაფორმება იმპორტიორებისა და ბიოპროდუქციით დაინტერესებულ შიდა სავაჭრო ობიექტების მიერ ბიოსაციაციებთან და ბიომეურნეობებთან, იმისათვის, რომ წარმოების მოტივი რაც შეიძლება მაღალი და გარანტირებული იყოს.

მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობისა და ინფორმირებულობისათვის უნდა გახშირდეს პროფესიონალ აგროეკოლოგ სპეციალისტთა და ბიომეურნეების გამოსვლები მასმედიის საშუალებებით, გამოქვეყნდეს კომპეტენტური სტატიები ჟურნალ-გაზეთებში, ჩატარდეს კონფერენციები, მინდვრის დღეები და სხვა.

სახელმწიფო პროგრამებით, ინვესტირების მოძიებით, საბანკო-საკრედიტო პოლიტიკით და სხვა საშუალებებით ხელი ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ბიოპროდუქციის დამზადების, შენახვის და გადამუშავების პროცესებს.

უდიდესი როლი უნდა ითამაშოს განათლების სისტემამ, სადაც კადრების გადახალისების მიზნით უნდა ჩატარდეს სისტემური რეფორმა. აუცილებელია აგრარული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში გაძლიერდეს ან შემოღებული იქნას ბიოაგროტექნოლოგიის, აგროეკოლოგიის, ბიოაგრომენეჯმენტის და ბიოაგრომარკეტინგის სწავლება, ხოლო ეკოლოგიური აგრონარმოების საფუძვლების სწავლება უნდა დაინდოს საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში. უნდა მოეწყოს სპეც. კურსები აკადემიებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან. პრაქტიკის გავლისათვის გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს და საზღვარგარეთის ბიომეურნეობები და ბიოსანარმოები.

სახელმწიფომ უნდა დაიბრუნოს აგრარული უნივერსიტეტი და უნდა მოახდინოს მისი თანდათანობითი რეფორმირება აგრარულ-ეკოლოგიური უნივერსიტეტის სახით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან უნდა ჩამოყალიბდეს ბიოაგროგანვითარების დეპარტამენტი, ხოლო თანდათანობით სამინისტრო უნდა რეფორმირდეს აგროეკოლოგიური განვითარების სამინისტროს სახით. ამისათვის სამინისტროში საკადრო ცვლილებები აგროეკოლოგიური კუთხით დროულად უნდა დაინდოს.

უნდა ჩამოყალიბდეს აგრარული ბანკი, თავისი ძლიერი აგროსპეციალისტებით და ფილიალებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ბიოაგროსექტორის დაკრედიტება იქნება. ყველა გლახს და ფერმერს, მიუხედავად მათი ქონებისა, თანაბრად უნდა შეეძლოს ამ ბანკით სარგებლობა.

ბიოაგროსექტორის განვითარების პროცესში სახელმწიფომ ბიოსაციაციებთან და ბიომეურნეობებთან ერთად ყოველმხრივ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ დაზღვევის გარეშე არც ერთი რგოლი არ დარჩეს.

სოფლის მეურნეობის და აგრარულ მეცნიერებათა აკადემიებმა უნდა შეიმუშაონ ბიოაგროსექტორის დანერგვის და სრულყოფის მექანიზმები, ახალი ნორმები და ნორმატივები, ბიოაგროტექნოლოგიური რუკები, დარგების ბიოგანვითარების პროგრამები, რეგიონული ბიოაგროპროგრამები და სხვა. ამისათვის სახელმწიფომ არ უნდა დაიშუროს შესაბამისი სახსრები.


ბიომეტესლეობის, ბიონერგის წარმოების, ბიოაგროსელექციის, ჯიშთა გამოცდის, საცდელ-საჩვენებელი ფართობების და ობიექტების მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის სახელმწიფომ პრიორიტეტულად უნდა გამოყოს ფულადი და სხვა მატერიალური რესურსები.

ბიომეურნეობათა ასოციაციებს, თითოეულ ბიომეურნეს და მეცნიერს თუ სპეციალისტს მჭიდრო ურთიერთობები უნდა ჰქონდეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ბიოპროდუქციის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ლოცვისა და შრომის საფუძველზე. არსებობს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რომ ლოცვისა და კურთხევის საფუძველზე მავნებლები და დაავადებები მცირდება ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ნორმებამდე. აგრეთვე დადგენილია, რომ ნაკურთხი პროდუქტი უფრო მარგებელია. ამავე დროს დიდხანს ინახება და ინარჩუნებს მაღალ კვებით ღირებულებას.

ამრიგად, ამ და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, საქართველოში ბიოაგროსექტორის განვითარების საფუძველზე (ორგანული მინათმომკმედების ქვეყანად ჩამოყალიბების შედეგად), 4-5 წლის განმავლობაში შესაძლებელია საკუთარი მოსახლეობის მთლიანად დაკმაყოფილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე და ბიოპროდუქციის ექსპორტზე გატანაც სავსებით შესაძლებელია. და რაც ყველაზე მთავარია, კვეთრად გაუმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

ლერი ჯალაბაძე,
„ეკოსანდოს“ გენერალური დირექტორი, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის დოქტორი, ბიოფერმერი

აბროვორდი



შემდგენელი: გიორგი პარისაშვილი

ჰორიზონტალურად:

1. ვენახის რიგი; 5. ნიადაგის ტიპი; 7. კარტოფილის მტერი ხოჭო; 8. ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენა; 11. კულტურა, რომელსაც თესვენ იმისათვის, რომ შემდგომად ნიადაგში ჩაიხნას; 13. ვაშლის ძველი ქართული ჯიშო; 14. ვაზის ჯიშების სპეციალისტი; 16. ხის ტანი; 17. კამეჩის შვილი; 19. მევენახეობის მიკროზონა ქართლში; 21. ავტორი ნიგნისა – საქართველოს სსრ ნიადაგები (1965); 23. იგივეა, რაც ხელის ნისქელი; 24. გურული წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშო.

ვერტიკალურად:

2. ხნულის ზედაპირული დამუშავება გამკვრივებულ ფენის გასაფხვიერებლად; 3. ქართული ხორბლის ჯიშო (მაგარხორბლიანია); 4. ერთგვარი ორგანული სასუქი; 6. ღორის ინგლისური ჯიშო; 7. იგივეა, რაც მეგრული წითელი საქონლის ჯიშო; 9. ქიმიკატი სარეველების წინააღმდეგ; 10. ნისქელის ქვა; 12. ვაზის ვერაგი მავნებელი; 15. ნიადაგის მორწყვა; 18. ნიადაგის სტრუქტურის რღვევა და ღვარებისაგან წარეცხვა; 20. პარაზიტი მცენარე, რომელიც ძირითადად სახლობს მსხალზე და ალვაზე; 22. ფუტკრის სკის ძველქართული დასახელება.

ფერმერის ბიბლიოთეკა

„საკვებწარმოება აბროვორდის საფუძვლებით“

ასოციაცია „მომავლის ფერმერი“ გთავაზობთ ახალ, სქელტანიან (45ნ-გვერდიანი) სახელმძღვანელოს „საკვებწარმოება აბროვორდის საფუძვლებით“ (კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია). სახელმძღვანელო ილუსტრირებულია საკვებ კულტურათა ფერადი სურათებით.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკვებწარმოების თეორიული საკითხების, პრაქტიკული ხერხებისა და ილეთების შესახებ მონაცემები დახმარებას გაუწევს მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელ და საკვების დამამზადებელ ფერმერებს ყოველდღიური საქმიანობის სწორად წარმართვაში. იგი დაეხ-

მარება სტუდენტებს, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მკვლევარებს, შესაბამისი პროფილის სპეციალისტებს.

ნიგნის ავტორები არიან: საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ახალგაზრდული პრემიის ლაურეატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იოსებ სარჯველაძე** (599-173-620, 577-311-257) და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ ჯინჭარაძე** (555-598-197).

გამოცემის ღირებულებაა 16 ლარი. გამოცემის შესახებ ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 63 94, 568 100 190. (მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორია).





შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოზე“ ხელმძღვანელობს ბრძანება!

გამოიწერეთ
შურნალი

ეგრარული საქართველო!

ბაიბათ მათი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების, ცხოველთა მოვლისა თუ აგრარული სფეროს სხვა საინტერესო საკითხებზე

მთელი წლით შურნალის გამოცემა ღირს 24 ლარი, 6 თვეში – 12 ლარი. შურნალის გამოცემა შეგიძლიათ პრესის გავრცელების სააგენტოების ელვა.ჯის (www.elva.ge) მეშვეობით. ტელ.: (032) 2 38 26 73/ (032) 2 38 26 74; (032) 2 38 26 76. ასევე „საქრესა“-ის რაიონულ ოფისებში. ტელ.: (032) 2 51 85 18. ან შურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქციაში. ტელ.: 599 16 18 31 agroasca@gmail.com

